www.Litklubi.ge

სისხლის ყივილი

სოფლის ფოლორცებს ნიაღვარივით შემოაწყდნენ ბოშათ ცხენები. ჟინჟილაკების ჟღარუნს მოყვა როკვა უგვანო და ფარშევანგის ბუმბულივით ჭრელი ფერები.

-ავის მაცნეა - ჯავრიანად აღმოხდა თედოს და თავის ფიცრულს შეაფარა მოხუცმა თავი.

-დაეცეს ეშმა, დაეცეს ეშმა! -კრულავდნენ ბოშათ გლეხის დიაცნი.

მეხი დაეცა ცრუმორწმუნეებს.

მრევლი ბუზივით ირეოდა ტაძრის ეზოში.ღამის მთეველნი,ნაადრევად მოსულნი ტაძრად,მასლაათობდნენ ქვეყნის ამბავს ასჯერ მოჭორილს. ბოშათ შემოსვლამ ჩვეულ ყოფას დაასვა დაღი და ღვთის რისხვაზე იწყო ბჭობა მავანთ-მავანმა. -„აპოკალიფსის ჟამი იყოს ეგების ახლა“ -მრევლს არწმუნებდა სოფლის მღვდელი და გულმხურვულე ლოცვისაკენ მოუწოდებდა. -,,იქნებ უბრალო დამთხვევაა“- ამბობდნენ ზოგან, რადგან არ სწამდათ ძალა ეშმის აღდგომის ღამეს.

ნაკაფარს იქით,გაშლილ მდელოზე,მხრცოვან დიდთავადს ედგა სახლკარი.

თავადი იდგა ღია სარკმელთან და გასცქეროდა ბოშათა სადგომს. მდინარის პირას გაშლილ ფარდაგებს, თითქოს სირიკა მზე დასცემოდათ აალებული კოცონის ფონზე. -,,რად მოგვადგნენო ეს ურჯულონი აღდგომის ღამეს, წყეულიმც იყოს ფესვი მათი უნიადაგო!“ -ჯავრობდა იგი.

ბოშათ ქარავანს როს მოწყვიტა მზერა თავადმა, თვალი მოავლო თავის ეზოს კაკლით დახურულს. ალაყაფისკენ, ძველისძველ ჭასთან, თვის ულაყებზე ამხედრებულნი თავადს ელოდნენ მხარბეჭა ძენი. იქვე კი, ეტლის თეთრ ფარდაგებს შეფარებულნი ისხდნენ პირნაზი, ვით ზაფხულის თეთრი პეპლები, ცოლები მათი. დროდადრო სიტყვას უბნონდნენ ერთურთს, არშიყი ჰქონდათ გაბმული ჩუმი, თუმცაღა თვალებს არ აშორებდნენ თავადის სარკმელს - ,,ვაი, თუ რამე გაიგოსო მოხუცმა მამამ".- პატივი ჰქონდათ მშობლისა დია.

როს წასასვლელად მოემზადა ძველი თავადი, უჩამიჩუმოდ გაიხურა კარები უკან. განვლო თალარი თავადური, დინჯი ნაბიჯით, შედგა ეტლთან და მოიკითხა: -სად არს თამარი? - და მოაქცია მზერა კიბისკენ, რომელზეც, როგორც თეთრი ფერია, მოცქრიალებდა ასული მისი. -,, ვით დამშვენდაო"-, გაიფიქრა მამამ ალერსით და სიყვარულით შეაცქერდა პირმშოსა თვისსა. უბოძა ხელი - მიეხმარა ეტლში ასვლისას, თვითონ კი, მოხუც მეეტლესტან ჰპოვა ალაგი.

ეკლის ორღობეს ჯერ არ იყვნენ გაცილებულნი, ნაკაფარისკენ ის-ის იყო აიღეს გეზი, რომ ჭროლა ცხენზე ამხედრებულმა ბოშა ვაჟკაცმა, ლამის ზედ ეტლთან შეაჩერა თვისი ულაყი. დაფრთხნენ ცხენები, შეტოტმანდა ეტლის ფარდაგი, მცირედ იკივლეს - შიში შექმნეს ქალბატონებმა... -,,მამას ხომ არა შეემთხვაო"-აღმოხდა თამარს, ლამის აფრინდა და ფარდაგის კალთა ასწია. მამის სანაცვლოდ ბოშას ჰკიდა თვალები ქალმა-სამარაგდენი შეისრუტეს გიშრის სრუტეში. აემღვრა მზერა და გონება დაკარგა ლამის, ერთიღა შეძლო, ჩამოსწია ფარდა ანაზდად; გაშეშებული დარჩა ფარდაგს მოფარებული, დაჯდა, თვალები მოისრისა,სული მოითქვა.

მალი ხნის შემდეგ ბოშამ ულაყს შემოჰკრა დეზი და მდინარისკენ გააქანა, გააქრო თითქოს. თამარს კი დარჩა როგორც ხინჯი გულში ჩამდგარი, თვალები გიშრის, ეშმისეული...კანკალი იწყო...

ორიოდ წუთში დაამშვიდა მეეტლემ ცხენნი და სალოცავის აღმართიკენ აიღო გეზი.

თითქოს თავადებს ელოდნენო ღვთის მსახურები, ჩამოჰკრეს ზარებს- სალოცავში შეიხმეს ხალხი.

დაიწყო წირვა...

მცირე ხნის შემდეგ მიმოავლო თავადმა თვალი, ღვთისმშობლის ხატთან პირმწუხარე იხილა შვილი. -,,რამ დააჯა?“- შეუძრწუნდა გუნება თავადს და გაემართა ასულისკენ ნელი ნაბიჯით. მიუახლოვდა, ყური მოჰკრა ლოცვას ნაღვლიანს, უნეტარესი, უწმინდესი ღვთისმშობლისადმი:

-,,სამოთხის მზეო, ცის სიწმინდევ, კანდელო მიწის, განმკურნებელო ჭირთა ჩვენთა სასისიკვდილოთა, მიიღე ლოცვა ჩემსგან, ვითარც შესაწირავი და მომარიდე ცოდვის ბიჯებს სასირცხვილოთა..."

-ვით შეგაძრწუნეს უწმინდურთა შვილო კეთილო, ან ვარდ ბაგეებს რად წაუხდა ფერი ლალისა? რა ჟრუანტელი გივლის ტანზედ შიშის მომგვრელი, სინდიყვის ცრემლი რად გადმოსცდა უპეს თვალისას?

-ნაღველი ღვენთს სულს, ვით ეს ალი კელაპტარს ჩემსას, შიშის ზარები ზანზარებენ ჩემს საუფლოში...

-მსუბუქი სენი შეგეყარა იქნებ რაიმე, წადი სასახლეს, დაივანე, ნუ შეყოვნდები! ოღონდაც მარტოდ ნუ აივლი რცხილების წაღმართს, იახლე შენი შიმუნვარი უცილობელად.

-როგორც მიბრძანებთ. - დაუხარა თავი ასულმა მშობელ მამას და თვის შიმუნვარს წამუყო უმალ.

გასცდა სალოცავს. გრილ ჰაერზე მოითქვა სული, გაშალა მხრები, თითქოს იყო ჩიტი პატარა, სწრაფი ნაბიჯით გაირბინა ეზო ცვრიანი და ტყის სიბნელეს შეერია ქალის ამარა. მოეხსნა გულზე ყველა დარდი, ყველა ნაღველი, თითქოს და ეშმა ამოფრინდა მისი სულიდან. გადაჭრა ველი ისე სწრაფად, თითქოსდა მიწას ვერ ანებებსო მისი ფეხის ნატიფ ნატერფალს. შესდგა ფშასთან და დაელოდა თვის ტოლ შიმუნვარს, ახლოს მოსულს კი დაუხვედრა წადილი თვისი:

-მარტოკა წავალ, შენ ტაძრისკენ იბრუნე პირი, მამას უთხარი: - სასახლემდე ავყევი თამარს.

-მარტო ტყის ბილიკს ვით აივლით, არ გეშინიათ?

-არა, ცოტაღა დამრჩენია გზაი სავალი.

-როგორც ინებებთ! - უთხრა დიაცს თვისმა მოახლემ და ტაძრისაკენ მიმავალ გზას დაადგა ობლად.

მარტოკა დარჩა თვალმაისა რცხილების ტყეში და მის მეგზურად იქცა მხოლოდ მთვარე ლივლივა; იგრძნო ვითარი სიმსუბუქე ავსებდა სხეულს, გული გაფრენის მოლოდინში თრთოდა მალულად.

ვერ ამოიცნო თამარ ქალმა ეშმაკის ფანდი...

პეპელასავით აცქრიალდა, გაუყვა წამრეცს, გასცდა ბილიკს და ტყის ფერდობზე ინება რბოლა. მოედო ველებს, დაუყვავა აქოჩრილ ჟიჟოს და ნიავივით გააყოლა თითები ბროლა. ღამის სიგრილე უკითხავად მოედო სხეულს, გამოაფხიზლა მარტოქალი აღმაფრენისგან. მიმოიხედა, მიხვდა რა შორს შემოსულიყო და სახლისაკენ გაეშურა წამსვე ანაზდად.

ცხენის ფლოქვებმა გაარღვიეს არე მძინარე, შიში დაეცა მეხისებრი გულ- მკერდთან დიაცს. შედგა და ჩუმად მიმოავლო თვალები არეს, გაუყვა რცხილებს, უხმაუროდ, ჩუმად, მალულად. მიცქრიალებდა ტყის ფერდობზე თავადის ქალი, ვითარც ფოშფოში ჯანღიანი, უპეცვრიანი....მიდიოდა და მიჰყვებოდა ცხენის ფლოქვთა ხმა, -,,ვინ იქნებაო?"- ვერ გაეგო მგზავრი გვიანი...

როდესაც იგრძნო ვითარ ახლოს იყო მხედარი, დამეხილ რცხილას მოეფარა ქალი უმალვე. შეეკრა სუნთქვა, ცივი ოფლი დაესხა სხეულს, თითქოსდა დილით დაითრთვილა ნორჩი ბალახი. წაერთვა ჩინი, დაებინდა გონება წამსვე, უსულოსავით გაეშოტა ცვრიან მდელოზე... გახევდა ქალი...

მიწის სიცივემ გაუნათა გონება ასულს, აახამხამა წამწამები უმალვე სათის და თვალი ჰკიდა ვნებიან ბოშას.... ეტლის ფარდაგებს მიღმა ნახულს ჰგვანობდა იგი, დიახ, ის იყო, ეშმასავით მრუმე თვალებით. წამოხტა ქალი და სირბილით დაუყვა დაღმართს; მირბოდა თვალებცრემლიანი მშობლიურ ტყეში. ესოდენ დიდი ერის შვილი, თავადის ქალი, დარჩენილიყო უჯილაგო ურჯულოს ხელში...

მირბოდა ქალი...

მიჰყვებოდა ბოშა ფეხდაფეხ...

ნორჩი ტოტების ლაწა-ლუწი ამსხვრევდა დუმილს...

უეცრად გონი დაუბრუნდა დაბინდულ ქალწულს - ,,საით მივრბივარ, მეშინია ბოშისა რისთვის ან ვით შემკადრებს ურჯულოო ვიცოდე აუგს?“

გაჩერდა ქალი, მოიხედა ო, ისე მკაცრად, ლამისდა თვითონ შეაშინა სიმკაცრემ თვისმა... თუმცაღა მცირე დარჩენოდა ღონი და ძალი, ასე ეგონა, გულისცემა დასცემდა ახლა...

მოვიდა ბოშა, გაუღიმა ისე სათუთად, რომ დიაცსაც კი გაუნათდა თვალები წამით...

-რაი გსურს ჩემგან? - ჰკითხა მკაცრად ასულმა ჭაბუკს.

-ვერ გავიგეო. -აიჩეჩა ბოშამ მხარბეჭი.

-მომეცი გზაი! -დაიკივლა თამარმა შიშით, გაიწია და გაეხვია ბოშის მკლავებში. დაშანთულივით დაამჩნიეს პირველი კოცნა, ასე ეგონა ასულს უკვე სასოწარკვეთილს...

თითქოს მთვარემაც შეაბრუნა სირცხილით პირი, გასრიალდა და გაერია ღრუბლის მორევში.

მაშინ, როს ბოშა უსირცხვილოდ შეერწყა ქალწულს, თავადის გულში აიშალა შიშის ქარები. ვეღარ დაუდო გულისყური წმინდა სალოცავს და კარიბჭისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით. ეზოში გასულს შეეჩეხა მოყმე მალხაზი.

-სასახლეს წასვლა ხომ არ გნებავთ ბატონო ჩემო? - მორიდებით და კრძალვით ჰკითხა მოყმემ დიდთავადს.

-დიახ, თამარი წავიდა და ურვა შემიჩნდა, წინათგრძნობა მაქვს, ცუდი რამ ხომ არ ელის ასულს.

-ნება თქვენია, გამოგყვებით, არ დაგზარდებით, -უთხრა მოყმემ და რახსი ცხენი უბოძა თავადს; თვითონ ძუძუმტეს ჰუნე ახსნა ჭიისკრის ბოძს და სასახლისაკენ გააქანეს ცხენები უმალ.

-მოკლეთი ავყვეთ !- უთხრა მოყმეს თავადმა რადგან,უნდოდა მალე მისულიყო ასულთან სახლში.

როდესაც ბოშას დაეწმინდა თვალები მღვრიე და უწმინდური განერიდა მის სულს და სხეულს, მოულბა გული და ალერსით დახედა ასულს -დაჭრილ გედივით იწვა იგი ჟიჟოს საწოლზე. დიაცს კი, როცა დაუბრუნდა გულწასულს აზრი, მაშინღა მიხვდა თუ ვითარი ეწია ბედი. ატირდა ქალი და ალმურმა აულეწა თეთრი ლოყები, მხოლოდ ახლაღა შეამჩნია თვისი სიშიშვლე და მამაკაცი, რომლის მკლავებშიც გატრუნული იწვა მდუმარედ. ადუღდა გული, სინანულმა დაახრჩო ლამის - ,,ვაი,სირცხვილო, ვაი მამავ!“ - წამოიკივლა. - ,,წამოვდგებიო“, - გაიფიქრა, წამოიწია, მაგრამ ვერაფრით აიზიდა ცოდვის სხეული... ახედა ბოშას, პირმშვენიერს, ვნება დანთხეულს, უჯილაგოს და უალაგოს, მოხეტიალეს:

-წყეულიმც იყოს შენი მოდგმა ჩემი ვნებისთვის, წადი მტარვალო, წადი მალე, ჩამომეცალე!

უცნობი იყო ბოშისათვის სიტყვა ქართული, მაგრამ ყოველი გაიგონა, მიხვდა დაღონდა. წამოიწია, წარიტაცა ხელი გულმკერდზე და გრძნეულების თილისმანი ყელზე შეიხსნა. თავი მოდრიკა პიწახდილი ქალის წინაშე და სანთელივით მიუტანა სათუთ ხელებთან. - ,,რაი არს ესე?"-მოიკითხა ქალმა თვალებით და უნებლიედ თილისმანი ხელში მომუჭა.

გამოჩნდა მთვარე, აიშალა ღამის ბინდები, რაშთა ფლოქვებმა გააყრუეს არე მძინარე...უხმოდ გაუყვნენ ორნი ხიმეს მთვარიან ღამით და რცხილნარებში შეუხვიეს მოკლე ბილიკით.

ძველ ნამეხართან იდგა რაში თავჩაქინდრული...

-ვისი არს ნეტა? - მოიკითხა მოყმემ ანაზდად, - ვინ გაიმეტა სამგლედ ცხენი ესევითარი?

ასცდნენ ბილიკებს და ცხენის კვალს დაადგნენ უმალ. იარეს ცოტა და მეხივით გასკდნენ თვალები - ცვრიან ჟიჟოზე გათანგული იწვა თამარი... თითქოსდა ბინდი გადაეკრა თავადს თვალებზე, რისხვით აივსო, როს იხილა შვილი შიშველი. გადაეფარა წინ ერთგული მოყმე მალხაზი, თვალდახუჭული დადგა ცოდვის ლულის წინაშე. შემოიცალა ტანზე მყისვე თვისი ნაბადი და შიშველ თამარს დააფარა ბროლის სხეულზე.

წამოდგა ბოშა, აიშალა თითქოს ყოველი და ურცხვი თვალი შეაგება მამას დამეხილს. მერე დახედა გახევებულ, გაშოტილ გოგოს და წასასვლელად მოემზადა, იხმო ულაყი. განრისხდა მოყმე და წამომდგარ ლირფს პირ-სახეში მისცა ლიწინი, ხუთი თითი თეთრად შემორჩა. იშიშვლა მამამ სატევარი პირალესილი და შიგ, შიგ გულში გაუყარა უწმინდურ კანჯარს. წაქცეულ ბოშას მოარიდა მზერა თამარმა და გვერდით გადგა, შემოიკრა ტანზე ნაბადი. სიკვდილს ნატრობდა, ცის ჩამოსვლას ან მიწის რყევას, რომ ჩაეტანა ხორცი მისი ნაცოდვილარი.

მიხვდა მალხაზი, თუ რა ჭირში იდგა თავადი და მორიდებით, მოკრძალებით შეჰკადრა ბატონს:

-არ შეიძლება ეს სირცხვილი გაიგოს ხალხმა, მომეცი ქალი, გამატანეთ შორს, სხვა მხარეში. ნუ ეტყვით ნუვის, საიდუმლო დავმარხოთ აქვე, წავიყვან თამარს, თქვენ კი იტყვით: -,,მომტაცეს ქალი"- ოღონდ მდევარი შეაჩერეთ, შეგვინდეთ ვითომ...

***

ერთ მიტოვებულ საყდრის ახლოს, ძირძველ ფიცრულში დასახლდნენ მყუდროდ, ცოლქმარივით ქალი და ვაჟი. არავინ იყო სულიერი ტყიურთა გარდა. დადუმდა ქალი, სიტყვაძუნწი გახდა თამარი. აღარაფერი აშუქებდა სევდიან თვალებს. ალიონიდან დაბინდებამდე მუხლჩაუხრელი ტრიალებდა საყდრის ეზოში. ისე სათუთად ეპყრობოდა ხავსიან კედლებს, თითქოსდა ახლად აპირებდა საყდრის მოხატვას.მოყმე ტყე-ღრეში დადიოდა პატარა ცულით, ახალ ფიცრულზე ოცნებობდა ვაჟი რატომღაც - ,,სიმკოდოვისთვის ცოდოაო თავადის ქალი"-ასე ფიქრობდა.

მოსიარულე ცხედარს ჰგავდა დიდი თავადი; პირგამეხილი დადიოდა, არას უბნობდა... რა ქარბორბალა ტრიალებდა მხრცოვანის გულში, ქალ-ვაჟის გარდა ქვეყანაზე არვინ იცოდა.

ერთხელ, კვირაძალს, წასასვლელად უწია გულმა სევდიან მოხუცს. ძნელად აზიდა დარდისაგან გულმძიმე ტანი და კაწანი განვლო ხელჯოხით. ძუძუმტესაკენ მავალ ბილიკს დაადგა ობლად და როგორც ჩრდილი, წარიტანა თვისი ნაღველი.

მოხუცი თედო თავის ვენახს დაჰფუსფუსებდა. დამჭკნარ ხელებით ვაზის რტოებს ეფერებოდა და როცა თვალი ჰკიდა მისკენ მიმავალ თავადს, ვით გლეხს შეშვენის, მოუხარა თავი ანაზდად. გლეხის ეზოში მალი ბიჯი შედგა თავადმა, მუხის ჩეროში დადგმულ ჯირკზე ჩამოისვენა, კანკალნარევი ჩამოართვა თანშეზრდილს ხელი და ცრემლნარევი შეაგება ამაყი მზერა. ცოტა ხანს დუმდნენ, არ უბნობდნენ სიტყვას ნანატრსა. - ,,ხომ არაფერი გაგიგია მალხაზისაგან?“- იკითხა გვიან თავადმა და გაღმა გახედა. თითქოს არ სურდა მიმხვდარიყო მისი ზუძუმტე, თუ კი რაოდენ მოენატრა შვილი მამასა...

-იმიერს იქით წასულანო. - შეჰკადრა თედომ, -მარტო ცხოვრობენ, სადღაც მთაში, საყდართან ახლოს. სხვა არაფერი გამიგია, მეც ვნაღვლობ ძალზედ, რომ აგრერიგად მიმატოვა მარტოკა ძემან.

ამოიოხრა თავადმა და აუთამაშდა მარცხენა წარბი. ვეღარა შეძლო ჯავრის დამალვა...

გაქვავდა გლეხი, გაუგონარს ისმენდა ყური, სიმწრის ცრემლებით ჩინახდილი ტიროდა კაცი. დააპირქვავეს, მაშინ ასე ეგონა მოხუცს, ქართველთა გენის საამაყო ნამუსის თასი...

***

დღეები რბოდნენ, ვით საათის წიწკი ისრები,დრო გადიოდა, ზაფხულიც კი იკვეთდა კალთებს. აღარაფერი იცვლებოდა უკვე სოფელში, მხოლოდ მოხუცნი თუ უღებდნენ ერთმანეთს კარებს...

გამოხდა ხანი.

თავადის სიძე და ასული ეწვია სოფელს. მოხუცმა თედომ სიხარულით მიიღო შვილი, დაუყვავა და მოეფერა ლამაზ პატარძალს, შემდეგ მსტოვარი გააგზავნა თავადის სახლში და ნაბოლარა ქალიშვილის მოსვლა ახარა.

სიხარულისგან ლამის იყო გახევდა კაცი, არა იუბნა, მიიბრუნა პირი კედლისკენ. ,, -წადი!“- უბრძანა პირუკუღმა კარგის მოამბეს და თვის ოთახში ჩაიკეტა დადუმებულმა. მამის ბრძანებას მოელოდნენ გულადი ძმები, ის გადაწვეტდა ბრძოლის ან კი ქორწილის ამბავს. ელოდნენ დიდხანს, ბოლოს ჰკადრეს კაკუნი კარზე. - ,,შემობრძანდითო!“ - გამოსძახა შინიდან მამამ.

მალი ხნის შემდეგ თავადებმა გასცეს ბრძანება და საქორწილო სამზადისი დაიწყო უმალ.

ხადილის შემდეგ იხმო თვისთან თავადმა სიძე, რადგანაც მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა მართალი. უამბო ვაჟმა, რაც გაანდო თამარმა ერთხელ... მხრცოვანს დაეწყო შფოთნარევი ხელის კანკალი.

-მაშ, შემირყუნა ბოშა-ლირფმა ასული ჩემი? მაშ,ძალადობამ იზვარაკა და არა ვნებამ?

-ვითარ იფიქრეთ შვილის სიძვა ბატონო ჩემო, თვით აიხდიდა განა ლეჩაქს გაზრდილი თქვენი?

-გავიგე მძიმედ ყოფილაო ასული ჩემი, -დაუმატა და განარიდა მზერა თავადმა - იმისღა სასო შემრჩენია შვილო კეთილო, რომ შენს სისხლს და ხორცს დაატარებს თამარი მუცლად.

წამოდგა ვაჟი, ლიბრისფერი გადეკრა სახეს, მიდგა ლინგთან და ბრაზნარევმა იუბნა რიდით:

-მე თამარისთვის ურცხვი ხელი არ კი მიხლია... განაღა ფიქრობთ, ერთხელ ნამუს ახდილი ქალი, რომ სხვათა მიერ ასახდელად საკადრისია?

-ვაჰ,მე! - აღმოხდა თავადსა და ცრემლი ობოლი ჩამოუგორდა ბებერ ღაწვზე თეთრწვერა მოხუცს. - მაშ, ბოშის შვილი მუცლად იღო ასულმა ჩემმა, მაშ,წარიწყმიდა კიდევ უფრო ცოდვილი სული?

დადუმდნენ. ოდას შეეჩვია მდორე სიჩუმე. უხმოდ უმზერდა სიძედ თქმული დაღდასმულ მოხუცს, ვეღარა შეძლო ეთქვა მისთვის სიტყვა სალბუნი. დუმილს ტოილი თვით აჰყარა მოხუცმა ბოლოს და ჰკითხა მოყმეს: -,,სად ინებებთო საცხოვრისს ახლა?“

-მოხუცს ვეღარა მივატოვებ, ცუდი სენი სჭირს, ამბობენ დიდხანს ვერ გასტანსო მშობელი ჩემი. მე მამისეულ კარ-მიდამოს ვერ მოვშორდები. თამარს არ ვიცი რა წადილი ექნება თვისი.

-მაშ,უცხონი ხართ? - სხვაზე ბაასს მოჰყვა თავადი - არ კი გქონიათ სარეცელი თანაზიარი? მაშ, როგორ უნდა გაიაროთ წუთისოფელი, განა სიცრუე აგრერიგად დაიმალება?

-ღვთის ნება იყო, რაც კი მოხდა, რას შევცვლით ახლა? ვიქნები ქმარი უბიწო, მამა- მართალი.

ვეღარაფერი მოიფიქრა მოხუცმა მაშინ, დანებდა ვაჟის მტკიცედ თქმულს და გახედა შორეთს...

მაშინ, როს შვილის ყოლის ჟამი დაუდგა თამარს, მოყმის ფიცრულთან შეიყარა მავანთ-მავანი. პატარა ეზო მხიარულმა ხმებმა აავსო. მოახლე გოგომ ჩაირბინა ეზოში სწაფად და პირმწუხარე ვაჟკაცისკენ აიღო გეზი, - ,,თვისთან საუბნოდ გიხმობთ ჩემი ქალბატონიო"- აუწყა მალხაზსს და ოდისკენ იბრუნა პირი.

თეთრი კანდელი მოჰფენოდა სახეზე თამარს, თვალებში შუქი ჩასდგომოდა იმედიანი. - ,,რას მიბრაძანებო?"-ჰკითხა ვაჟმა მოკრძალებით და ცვრიან ნიკაპზე სიყვარულით გაუსვა თითი. მცირედ შეყოვნდა თამარ ქალი, დახუჭა თვალი, ცრემლი ობოლი დაუგორდა ფერმკრთალ ღაწვებზე. -,,ამისრულეო!“- შეევედრა ჭაბუკს და თვისი ნდომა გაანდო სასომიხდილმა. შეცბა ჭაბუკი და უარის თქმა დააპირა, თუმც მისი ნების წინააღმდეგ ვერ კი წავიდა.

სოფლის მოძღვართან მიავლინეს ფეხმარდი ვაჟი...

როცა თამარის სამყოფელი დატოვა მღვდელმა, ლოხი ნაბიჯით გაიარა გრძელი თალარი; თითქოს ათასჯერ მასზე მძიმე აკიდეს ტვირთი, ისე წავიდა, წარიტანა დიდი ვარამი...

საღამოს ბინდი შეერია თალარის ჩეროს, თუმც მახარობლის ხმა ჯერ კიდევ დუმდა კარს იქით. მაშინ როს ცაზე გულზვიადი აგორდა მთვარე და პირმცინარე ვარსვლავები გაიხსნენ ტანში, ფიცრულის კარებს სიხარულით გამოსცდა ქალი: - ,,დაიბადაო!“-დაიძახა, ახარა ხალხი.

-დიდება შენდა, გამჩენოო! -აღმოხდა თავადს.

-დღეგრძელი ჰქმენი!-დაიმუხლა ლოცვისთვის თედო...

პირმშვენიერი შეეძინა ასული თამარს. ხელის კანკალით მიიხუტა პირმშო გულ-მკერდზე და ლაციც უყო ლოფლოფ ლოყებს ხელისკანკალით. ღონემიხდილმა გადასწია თეთრი ბალიში და ახალშობილს ჩაუმალა უბეში რაღაც. თამარის ოთახს შფოთიანი მიადგა მოყმე, სურდა ეხილა მშვენიერი ასული მისი. გააღო კარი და მღიმარმა შეხედა თამარს, მიუახლოვდა და მიაპყრო პატარას თვალი; -,,ასული ჩემი!“- აღმოხდა და ასწია ხელში, ფრთხილი ამბორით მიხუტა ახალშობილი. თვალცრემლიანი შეჰყურებდა თამარი მალხაზს, მის სულგრძელობას ადიდებდა მხურვალედ გულში.

ორიოდ დღეში მიიცვალა თავადის ქალი...

www.Litklubi.ge

* * *

გამოხდა ხანი....

მოგონებები დაიფარა თალხი ფოშფოშით. წავიდნენ ძველნი, ახალნი კი წამოიზარდნენ. ალხი დღეები ბევრჯელ ბედალს შეუნაცვლია და ქუმერაჯიც გაცვეთილა ვერაუთვლელი. ხუთმეტი წელი გასულიყო იმ ბნელი დღიდან, რაც თამარ ქალის მზე დაბნელდა წუთისოფელში. ორი წლის შემდგომ შვილის კვალზე უვლია მამას და მამამთილიც მიჰყოლია გულურვეული. დარჩა მალხაზი პირმცინარე პირმშოსთან ერთად. იტვირთა ტვირთი ვერ საზიდი მავანთ-მავანთა; თავისი სიყრმე უზვარაკა შეურყვნელ ტრფობას და სხვისი შვილის მამობისთვის გადადო თავი.

თამარის ქალი-პირითმთვარე, კენარი, უსო, მეხოტბეთ მუზა, ვერსაკადრი აუგი ენის, წამოიზარდა და მშობელი დედის მშვენება ათასჯერ უფრო განავრცო და განიზიარა. მაკინეს თვალებს ბევრი მოყმე უტყვევებია და მრავალ ნინველს გაუსვია ყინწებზე ხელი; მაგრამ ვერც ერთი ღირსებია მის ხელზე ცაცუნს ან კიდევ ფადილს, რადგან კლდესავით მიუვალად ეჭირა თავი; თუმცა ვაჟების გახელება სიამეს გვრიდა. უყვარდა ცეცხლთან თამაში და ჯირითი ცხენზე - ჭიაკოკონას ქურციკივით ზე ევლებოდა და ქარს ატანდა ყმაწვილქალურ, უდარდელ სიცილს.

ბავშვის სიყრმითვე საურველი ჯანღავდა მალხაზსს, სურდა ბელზებელს ასცდენოდა ასული მისი. ტაძარში ზრდიდა, ღვთის მოსავთა რიგებში წვრთნიდა, რათა გენების გადამიჯვნას არ ექნა შფოთი. თავადთა კარზე ღებულობდა საერო ცოდნას, მრავალი მხრიდან მოწვეულნი ძერწავდნენ უსოს, რათა მისებრი ვერ ეპოვათ გლეხ ქალთა შორის და არც თავადთა უმცირესი ქმილიყო რამით. თვით ბუნებამაც არ დააკლო მაკინეს რამე, მისებრ უზადო, მშვენიერი ვერვის ეხილა, მრავალ მგოსნისთვის ღამე დღისებრ უთენებია და მეჩანგეთა ჩანგიც მხოლოდ კვნესოდა მისთვის. მის გაშლილ თმებში, ვითარც მრუმე ღამეებს შორის, ძრწოდა ნიავი და თმის სურნელს ჰპარავდა მორცხვად, შემდეგ წყალობად არიგებდა ხევსა თუ მთებში და მის სურნელით კეკლუცობდნენ ყვავილნი ველად.

პატარა ქალი ფრინველთა და პირუტყვთა ტკივილს უცნობი ძალის მეშვეობით უცდომლად ცნობდა. სახელგანთქმული ბეითალიც ყოფილა თურმე: ახსოვდა მავანს დილა როცა როცა მაკინე ტყეში პირისპირ დადგა ზეწამომდგარ გულყვითელ გველთან... ძიძის კივილმა წამით შესძრა მაშინ სოფელი... უცქერდა ყველა ბავშვის ქცევას ყოვლად უცნაურს: ის იდგა მშვიდად და თვალებში ჯიქურ უმზერდა გველს და წუთითაც არ უგვრძნია შიში საზარი... და უცებ მოხდა საკვირველი რამ სანახავი- მოცელილივით ქვედავარდა გველი ანაზდად და გაუნძრევლად განუტევა სული ღადარი.

ამის შემდეგ კი ბავშვს უცქერდნენ, ვითარცა შამანს და ურწმუნონი გაურბოდნენ შეხვედრას მასთან.

მალი ხნის შემდეგ ბავშვი ტყეში გაიბნა თურმე, დაღამებამდე ფეხზე იდგა მთელი სოფელი. დაღამდა, თუმცა ვერ იპოვეს პატარა ვერსად და მთელი ღამე ჩირაღდნებით იარეს ხელში. ეძებდნენ ყველგან, მღვიმეები ფეხდაფეხ მოვლეს, მიუვალ კლდეებს ქურციკივით უვლიდნენ ირგვლივ. ეძებდა ყველა, თუმც, ღვთის მადლი ვერვინ მიიღო, ვერვინ იპოვა გაბნეული პატარა ველად.

მეორე დილით ცქრიალ-ცქრიალ გამოჩნდა ბავშვი, ხელში ველური ყვავილების კონა ეჭირა. გულმხიარულმა, პირმღიმარემ შეხედა მამას: - ,,ჩამეძინაო ტყეში მარტოს,“ - შემოუცინა. დრო და დრო ბავშვი იხსენებდა იმ ღამის ამბავს, ტყუილს თუ მართალს, ვერ გაიგო მავანთ-მავანმა. ამბობდა, თითქოს ტყეში დიდი კოცონი ენთო და მის გარშემო ტრიალებდნენ ტყის ბინადარნი, რომლებიც თურმე მისებრ მცირე იყვნენ ტანითა.

პატარა ქალი ყველა ჯიშის ბალახებს სცნობდა, კრეფდა ტყე-ღრეში მათ და სახლში ეზიდებოდა. ათასგვარ სალბუნს ამზადებდა და უშურველად აძლევდა ვისაც

სატკივარი რამ აურვებდა. მრავალი ჰყავდა მადლიერი და დამლოცავი... და მამაც, შვილის ღვთის საქმეზე მაყურებელი, დღეში მრავალჯერ დიდ მადლობას სწირავდა უფალს.

დღესასწაულად თვლიდნენ იმ დღეს თავადის კარზე,როცა მაკინე ინებებდა მათთან სტუმრობას. შლიდნენ ხადილებს და მასავით მცირეწლოვანნი, იწყებდნენ როკვას, თარის დაკვრას, შამანით თრობას. მრავალ ქალწულის საზრახისი ქმნილიყო ხშირად, რადგან ჭაბუკნი პირმშვენიერ ასულის გვერდით კარგავდნენ გონს და ივიწყებდნენ თვის გულისწორებს. მაკინე სულაც არ ჰგვანობდა თავის ტოლ დიაცთ, რომელთაც შიშის საუფლოში ძრწოლა ერჩივნათ. კაკაჩი ღამით ქურან ცხენზე ამხედრებული ხშირად ვიდოდა აქეთ-იქით ტყეების ახლო. უბეში ედო ძველისძველი პატარა ღინწი - უფალმა უწყის, სად დაეგო ბელზებელს მახე.

ერთხელ, როდესაც, მარულობის ყიჟინა დასცეს და მთელი ქვეყნის მზეჭაბუკთა იქმნა სიმრავლე, შფოთიან სოფელს განერიდა პირნაზი ქალი და კლდეთა შიგან ჩანჩქერების ინება ხილვა. იხმო ქურანი, ზემოევლო, ტყისკენ გაქუსლა, დატოვა უკან ლიბრისფერი მტვერი ფოლორცის. წავიდა ტყისკენ, კლდეებს შიდა სავალზე დაგდა და ფეხით განვლო ბილიკები საფრენი ჯიხვის.

მივიდა კლდესთან, წყლის ხმაური საამოდ ესმა, შემოიძარცვა საფარველი უზადო ტანზე და ცივ ჩქერალებს მიაბარა ნორჩი სხეული. აღტაცებული გასცქეროდა პირტიტველ კლდეებს, რომელთაც დილა მზის სსხივების მძივად ეკიდათ. თვალდახუჭულმა გულისძგერას მიაპყრო ყური, ისურვა, ასე აღედგინა ამ მთების ხიბლი... და ასე დიდხანს, ვით ძილთაშინ ხედავდა ხევებს და ქროდა მთებში, ნიავივით მიუსაფარი.

...ო, ღმერთმა უწყის, ვით ენება ამ კენარ უსოს, ამ ტყე-ღრეების დედოფლობა ხელშეუხები...

ნეტარ ოცნებით გაბანგული იწვა წყალზე და შიშველ სხეულზე მზე ოქროსფერ სირმად ეფინა. თვალდახუჭული ნებივრობდა მწვანე წალკოტში და ივიწყებდა ბაცი ფერის ყოფას ამიერს... და მაშინ, როცა, მთათაშიგან მობერილ ნიავს შეატყო ქალმა უჩვეულო გულის ფრიალი, განაღო თვალნი და წყლის პირას იხილა ვაჟი მოურიდებლად, უდიერად მისკენ მზირალი. ეკვეთა მუხლი, უჩვეულო იწყო კანკალი, ვერ მოისაზრა რა ეღონა დადაგულს ელდით, ინება სწრაფად დაეფარა სიშიშვლე თვისი, თუმც ნორჩ მტევნებში ვერ დამალა სიმწიფე მკერდის...

...ასე ეგონა, რომ სიამის კვანძი გაუხსნეს, დედიშობილა როს იხილა ვაჟმა მაკინე... უცქერდა ჩუმად, ნეტარებით აღტყინებული - ვერ აცილებდა თვალებს წყალში ნაპოვნ საუნჯეს.

გახელდა ქალი, მოისაზრა უცებ ვერარა, ჩაყვინთა წყალში, ჩაიმალა სირინოზივით. დანებებოდა ახლა სიკვდილს, ერჩივნა უფრო, ვიდრე ამ ვაჟის ურცხვი მზერა ეხილა კვლავაც... შეშფოთდა მოყმე, თვისი ქცევის რა მიხვდა აუგს, სინდისის ქენჯნით მოაცილა მზერა ქურდული. მაგრამ უეცრად გაახსენდა უფსკრულის პირას გახელებული ჩქერალების ბროლებად მსხვრევა... მობრუნდა უკან და იხილა ლული საზარი - გონწასულ ასულს იტაცებდა დინება ქვევით. გადახტა წყალში და უფსკრულის პირთან მიცურა, სწრაფად მოხვია წვრილ სიბაზე ხელი ასულს და ჩქერალის შიშით გულზე მჭიდროდ მიისაკუთრა.

თითქოს ის იყო, გამოსტაცა ქალწული ავსულს....

ღელვით გუემულ ქალთან ერთად დაბრუნდა უკან და დიდ ჭოროხზე დააწვინა, სული მოითქვა. აიღო იქვე დაფენილი ქალის სამოსი და ზეწარივით დააფინა შიშველ სხეულზე. ლიბრისფერ ლოყას შფოთნარევი ლაციცი უყო, შიშით შესძახა - ექო უკუ

შემოუბრუნდა. ორივე მხარზე ხელი ჰკიდა გონწასულ ასულს და მთელი ძალით შეარხია, გამოაფხიზლა. მძიმედ განაღო თვალ-წამწამნი ქალმა და როცა, კვლავაც იხილა მოყმე მასთან უხმოდ დახრილი, შეიფრთხიალა როგორც მუჭში ტყვედ ქმნილმა ჩიტმა და უმწეომან დაიცრემლა სამარაგდენი.

მოსცილდა ვაჟი და უსიტყვოდ გავიდა გვერდით. წამოდგა ქალი - შეიმოსა ტანი კენარი.

ვერ გაუსწორა უცნობ ჭაბუკს ქალწულმა თვალი, გახედა განზე და მოძებნა თვისი ულაყი. წამ უყო წამსვე თავის ერგულ, თვინიერ ულაყს, და ურვეულმა უხმოდ განვლო ვიწრო ბილიკი. უკან ჩრდილივით დაედევნა უცხო ჭაბუკი, მიჰყვა ფეხდაფეხ ქურციკების გადასაფრენზე და როცა უკვე სამშვიდობოს გავიდნენ ველზე, სახელი ჰკითხა, თუმცა ქალი დუმდა ისევე.

მაკინემ ყურში ჩასჩურჩულა ქურანს რაღაცა და ზედ მოევლო, გაუვალი ტყისკენ გაქუსლა, - , ,საით მიილტვი? დამელოდე, მეც გამოგყვები!“- შესძახა ვაჟმა და ულაყი იხმო ანაზდად. ქალმა კი ცხენი კიდევ ერთხელ დაამათრახა, თუმც ღმერთმა უწყის, ეშინოდა უღრანის ვითარ... გაქუსლა ცხენმა, მოიტოვა ძველი წანწალა და ტყის სიბნელეს შეერია ავი სულივით. არ შეაჩერა ცხენი მანამ, სანამ ფშის გაღმა, არ დაინახა ძველის-ძველი მრუმე ჩიკუნა. შეშფოთდა ცხენი, ჩოდოლს ახლო არ წადდა გავლა, იწყო ჭიხვინი, გააყრუა არე მდუმარე. უეცრად ცხენი ყალყზე შედგა და ქორფა ქალი წამის უსწრაფეს ჩამოვარდა თავქვე მიწაზე.

ცხენის ჭიხვინზე გაიკვალა სავალი მოყმემ და როს იხილა, ქალი პირქვე მიწად შთენილი, ჩამოხტა მყისვე, აიტაცა ქალწული ხელში, შემოსვა ულაყს და დაღმართით დაეშვა ქვევით. გავიდა გზაზე, სოფლის ფოლორცს დაადგა უმალ და პირველ შემხვედრს შემოსძახა, საშველად უხმო.

დაჭრილ გედივით მიუყვანა მამას ასული უცხო ვაჟმა და დაუსვენა ფართო კუბოზე. მარჯვენა წარბთან ნაჭრილობევს სდიოდა სისხლი, მძიმედ სუნთქავდა, თუმც ჯერ გონზე ვერ მოსულიყო. აუხსნა ქალის მშობელს წულმა ვითარი ბედი ეწია ასულს ტყის ფერდობზე, თუმც წყლის ამბავი შემოინახა საუკუნოდ დასამარებლად. შესძრა ნათქვამმა მამის გული, წამსვე წარსული ამოტივტივდა მის ხსოვნაში მრავალნაძრახი....

გვემული შვილის შემხედვარე მალხაზმა ბრძანა ფეხმარდი ვაჟი მიევლინათ სოფლის აქიმთან. - ,,მეც აქიმი ვარ," მორიდებით შეჰკადრა მოყმემ ქალის მამას და ქალწულისკენ იქცია მხარი. მორიდებით და მოკრძალებით ჩამოჯდა ტახტზე და გონწასულის მაჯა ხელში აიღო ფრთხილად. შემდეგ ქუთუთო აუწია და ყურადღებით დაუწყო ცქერა ქალწულის თვალებს...

ისე ადგა რომ არა იუბნა.

გავიდა გარეთ და უნაგირზე გამობმული აბგა ჩამოხსნა. სწრაფად მობრუნდა, მიიწია კუბოსთან ტაბლა და ქალისათვის სარგო სალბუნს დაუწყო ძებნა. ის იყო უკვე ნაჭრილობევს უწმენდდა ვაჟი, რომ ტკივილისგან შეიშმუშნა, შეკრთა მაკინე. ანაზდათ ხელი წაიტანა შუბლისკენ თუმცა, ვაჟმა არ მისცა ნება ევნო ქალს იარისთვის. მოვიდა გონზე და როს იგივ იხილა ვაჟი მახედაგებულ ირემივით იწყო ცახცახი... მაგრამ, მის უკან მდგომი მამის დანახვამ ქალწულს, მისთვის ჩვეული სითამამე მოჰგვარა უმალ.

-რა გაგვა მამა, რა ხიფათი მეწია ტყეში? ან აქ უცხოთა ესაქმების ნეტავი რაღა?- იკითხა მკაცრად და უცხო ყმას მიაპყრო მზერა... მიუხვდა ვაჟი გულისწადილს, თუმც არ იუბნა. როს რაგადობა მოისმინა მაკინემ მამის და ის გაიგო, თუ რატომღა სტუმრობდათ მოყმე, მოდუნდა ცოტა და აქ ვითომც არაფერიო, გახედა სარკმელს.

-თუ ნებას დამრთავთ, იარაზე სალბუნს დაგადებთ. - უთხრა აქიმმა მორიდებით წარბგახსნილ ასულს.

-სალბუნს?- იკითხა ქალწულმა და ახედა მამას, - როგორც გენებოთ! - უღიმღამოდ იუბნა ქალმა. -,,როგორც გენებოთ?" -გაიკვირვა შვილის პასუხი მამამ და იჭვით გადახედა ასულის ქცევას, რადგან მაკინე სხვის სალბუნებს არ სცნობდა დღემდე. როდესაც ვაჟი მორჩა გარჯას, წამოდგა ფეხზე, მალხაზმა იგი მიიწვია გაშლილ სუფრასთან. საუკეთესო გვარიშვილი აღმოჩნდა დემნა. უკეთეს ვერც კი ინატრებდა იქნებ სასიძოდ, მაგრამ მაკინეს რა ეწადა ჯერ არ უწყოდა, თუმც მათ ქცევაში ბევრ უცნაურს ჭვრეტდა მალხაზი...

წყლით გვემის შემდგომ შეიცვალა მაკინემ ზნენი. ნაკლებს უბნობდა და ფრთხილ იქმნა რატომღაც ფრიად, აღარ ვიდოდა უღრანებში უწინდელივით, თუმც ვერც ნინველთა შორის ჰპოვა სულის სალაღო... თავის ტალარში იჯდა ხოლმე სეფექალივით, მამის სეფესტინს კითხულობდა თავაუღებლად და მაშინ, როცა თავის ახლოს ვერვის ხედავდა, იცრემლებოდა და ტყის ბილიკს კრძალვით უმზერდა; მონატრებოდა ქალს ჩვეული ლაღი ნავარდი, ცხენზე ჯირითი, ჩქერალებში თევზივით ცურვა, თუმც მოგონება ეკალივით ესვენა გულში და ყოველ ფეთქვას თან მოსდევდა უგონო ჭმუნვა...

***

თავადთა კარზე ნადიმობის გასცეს ბრძანება...

ფართო აივანს შეესივნენ გლეხის დიაცნი და სანაქებო გაიშალა ქართული ტბოში.

-რავეშნთა შორის უნდა იყო შვილო, რამეთუ, ეს წვეულება შენთვის არის მოფიქრებული. - უთხრა მამამ, როს დაინახა მისი ასული არა ჩქარობდა პაპისეულ ოჯახში წასვლას.

-ჯერაც სუსტად ვარ! - უხალისოდ წარმოთქვა ქალმა, თუმც თვით უწყოდა, რომ არ იყო ახლა მართალი. ღია სარკმლიდან თვის შიმუნვარს უხმო ოდაში...

დედოფალივით შემოსილი დადგა სარკესთან , სიბაზე ოდნავ შეისწორა ვერცხლის სარტყელი და უნებური ცრემლის კვალი აღჰგავა სახეს.

ამდენ ჭმუნვაში ,,ბაგეთ მკვნეტელ დიაცთ" ემსგავსა; ამის შეცნობამ შეაშფოთა, შეაკრთო ქალი... -,,აღარასოდეს!"- გაიფიქრა ქალწულმა გულში და სანადიმოდ გაემართა ნინველთა შორის.

ტიტანო კაბის შარი-შურით შევიდა უსო დედის ეზოში. მორიდებით და პატივგებით უძღვნა სალამი უკლებრივ ყველას. -,,თამარივით მშვენიერია თამარის ქალი!", - ესმა მაკინეს გლეხთა ბაასი. დედის ხსენებამ სიხარული მოჰგვარა ქალწულს. წამსვე შეჩერდა, მოიხედა და თვალი ჰკიდა ცრემლიან მოხუცს. ახლოს მივიდა, თაყვანი სცა მშობლის გამომზრდელ ღვთისნიერ ძიძას. - ,,დღეგრძელი იყავ, მზე-ნათელი, სასო ულევი!" - დალოცა ქალმა... დედის ალერსის უნებური ნდომა გაუჩნდა ობოლ მაკინეს, ვეღარ დამალა გულის ჯანღი და შფოთნარევი ხმით მადლობა შეჰკადრა მოხუცს, დედის მაგიერ...

ატირდა გლეხი...

კაკლის ჩეროში ჩუმად იდგა მაკინეს ძია და ყურს უგდებდა დისწულის და მოხუცის ბაასს. როცა მაკინემ კიბისაკენ აიღო გეზი, მიჰყვა დედის ძმა. წვეულთ შორის მისცა ალაგი...

დაღამებამდე ქეიფობდნენ თავადთა კარზე და მაშინ, როცა ის ის იყო იწყებდნენ დაშლას, ჭიისკრის ალაგს სწრაფმავალი გაჩერდა ცხენი.

-სალამი დემნას! დაგვეწვიე, ნუ გვეტყვი უარს! - ისმოდა ირგვლივ ნაბახუსევ ყრმათა ზახილი...

მაკინეს უცებ მოეშალა თითქოსდა ფეხი, წასვლა ინდომა, უფრო სწორად ჩუმად გაპარვა... მაგრამ, სანამ ის გაილევდა ამ გრძელ აივანს, დემნა აღმოჩნდა უნებურად ქალის პირისპირ.

-ღამე მშვიდობის! - მოკრძალებით შეჰკადრა ვაჟმა, - სხვა ვერ იუბნა სიხარულით თავზარცემულმა. მაკინემ უხმოდ დაუხარა თავი სტუმარს და მიხვდა რომ, წასვლა იქნებოდა ახლა ურიგო.

სეფექალთ შორის ჩადგა როგორც მზე ცისიერი...

დემნას სტუმრობამ კიდევ უფრო განავრცო ლხინი.

მაშინ, როს მთვარე ლამპარივით დაენთო ცაზე და ორღობეებს შემოერღვათ გულზე სიბნელე, წასვლა ინდომა მაკინემ და შიმუნვარს უხმო. წამოიშალნენ მზეჭაბუკნი გასაცილებლად... - მე გავაცილებ!“- ქალის ძიას უთხრა დემნამ და მაკინეს უკან დაედევნა როგორც მდევარი.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ.

ჩირაღდნის ფონზე კიდევ უფრო ბრწყინავდა ქალი...

თაღოვან ხიდთან როს მივიდნენ შედგა მაკინე, შიმუნვარს თხოვა მისულიყო სახლში სწრაფად და საღამოს სუფრა გაეშალა უცხო სტუმრისთვის. გაჩერდა ვაჟიც, ჩირაღდანიც ასწია ზევით, რადგან უწყოდა, უცქეროდნენ ორთავ სახლიდან...

გამოეგება ღამის სტუმარს მალხაზი ხიდთან, შეიპატიჟა ეს გვიანი მგზავრი ოჯახში.

-თქვენს ქალიშვილთან სასაუბროდ მოვსულვარ რადგან, გავიგე სალბუნს ამზადებსო მრავალ სნეულთა. - უთხრა დემნამ და გააგრძელა - არ დაიჯერეს, როს ვიუბნე იმის შესახებ, თუ კი რა რიგად მოვურჩინე წარბის იარა. მე არ ვიცოდი, თუ მაკინეც აქიმი იყო.

დემნა იმ ღამით სტუმრად დარჩა მაკინეს სახლში. ორ აქიმს ბევრი სასაუბრო ჰქონდათ საერთო. შემოათენდათ ლამის თავზე და მერე როცა, ორივ ყმაწვილი თავის საწოლ ოდას მიადგა, ვაჟმა უნებურ გულს გაანდო ნდომა საძრახი...

ერთი პატარა ტიხარიღა ყოფდა მათ ოდებს, ესმოდათ სუნთქვა ერთურთის და საწოლთ ჭრიალი.

ვაჟის სტუმრობამ სიხალისე შეჰმატა ასულს და ძველებური სიანცისკენ უწია გულმა. წამოდგა ფეხზე, დაიჭირა ხელში თილისმა და როგორც ცხადში, ისე იწყო ახლა მიმოსვლა. ავი სულივით გაიარა ტიხარის ჭრილში და თავს წაადგა ღამის მნათობს მომზირალ ჭაბუკს. შემდეგ ფეხებთან მოუარა, უხმოდ ჩამოჯდა და სულ ახლოდან დააცქერდა დაღვრემილ უსოს. ღია სარკმლიდან შემოპარულ ღამის დედოფალს ვაჟკაცის მკერდზე უსირცხვილოდ დაედო თავი.

უცქერდა ვაჟი განათებულ თავის საწოლს და ერჩივნა სულ სხვა დედოფალი ჰყოლოდა გვერდით...

განრისხდა ქალი.

არ ელოდა მთვარისგან ღალატს,- ,,რაღა ჩემს სტუმარს დაადგაო როსკიპმა თვალი!?“...ცივმა ნიავმა დაუბერა და სარკმლის ფარჩას უნებურ თვისი არშიყობა შეჰკადა წამით. შეწუხდა მთვარე, აიყარა ვაჟკაცზე გული და უხალისოდ აიკრიფა ოქროს კალთები... დამშვიდდა ქალი, როს მსიძავი გაჰყარა ჭაბუკს და თავის ოდას მიაშურა ტიხარის ჭრილით.

ღონემიხდილი მიესვენა უხმოდ საწოლზე...

ანდამატივით მიიზიდა ტყე-ღრემან ქალი. გაქუსლა ცხენი. გასცდა მდინარეს, გასდა ხიმეს - შემდეგ ფოლორცებს და კლდეთა შიგან ჩანჩქერებში ამოჰყო თავი. ზურმუხტის ფერი დადებოდა რატომღაც ჩანჩქერს და ბროლის ნაცვლად ყვავილები ცვიოდა ტბაში. ვერ უჯერებდა ქალი თვალებს, რადგანაც უცებ ტბის ზედაპირი დაემსგავსა მოჩითულ ველებს...

ცქერით რეტდასხმულს უცნაური სურვილი კლავდა, სურდა ამ ტბაში ებანავა ყვავილთა შორის. უმზირა დიდხანს... თუმც ცდუნებას ვეღარ გაუძლო - შემოიძარცა საფარველი, გაფინა ქარში.

შიშველ სხეულზე მზე აეკრა ურცხვი ლაციცით, უკვე ვერავინ უწოდებდა მას მზეთუნახავს... შევიდა წყალში, შეიტყუა მზეც საბანაოდ და ყვალილნარის სურნელების იგემა ბანგი. გაბრუებული იწვა დიდხანს ყვავილებს შორის და მზე სიბაზე უშანთავდა ყამიწს ტუჩებით...ნეტარებისგან აღტყინებულს აღმოხვდა კვნესა... მოეგო გონს და ნათლად იგრძნო სიბაზე ხელი. მობრუნდა ქალი, თითქოს მიწაც მოატრიალა და თავის სტუმარს უნებურად მიაპყრო თვალი. დემნას დანახვამ დაბანგული სულ მთლად არია და გონწასული მიესვენა ვაჟკაცის მკერდზე. უფრორე მჭიდროდ შემოხვია ვაჟკაცმა ხელი და გახელებით დაეწაფა ქალწულს ტუჩებზე...

მაკინეს მსგავსად ყვავილებმა დემნასაც ძლიეს...

ვაჟის ალერსმა დაუბრუნა დიაცს გონება, თუმც კოკობ მკერდზე ვერ აღგავა ტუჩებით კვდომა... და მაშინ, როცა მიიტმასნა ვაჟკაცმა მკერდზე და საოცარი სიყვარულით დაუწყო ცქერა, უეცრად იგრძნო კიდევ ერთი შეხება ზურგთან - სულ სხვა ტუჩები უკოცნიდნენ ნაფერებ კისერს... ისედაც ხელი, აირია უფრო ქალწული, ორ სხეულს შორის მომწყვდეული თევზივით სხლტოდა...

განრისხდა ქალი, განუტევა სხეული ტბაში და ფოშფოშივით აიცრიცა სული ჰაერში.

გადასცქეროდა თავის სხეულს უხმოდ ზევიდან და ვერ გაეგო, რად ხდებოდა მის თავს საზარი...

... და მაშინ, როცა ტყეში ქარის იმატა ქროლვამ და მზეჭაბუკნი დაიღალნენ ქალის ალერსით, ზეცაში მყოფმა დაინახა სისხლის ნაკადი, სისავარდივით რომ მისდევდა სპა ყვავილების. მინდვრის ყვავილებს გულს ესვენათ ქალის სხეული...

სინდიყვის ცრემლი დაუგორდა ზეცას ღაწვებზე...

ვაი, რომ კარგად ვერ გათვალა მაკინემ ზრახვა და თვის საქციელს უნებურად დაუგო მახე - ვაჟის ოთახში თილისმანით გასულმა ქალმა ძილისწინ აღარ შეინახა გრძნეულთა სახვა. მთვარემ კი თვისი მთვარეული დაჰრია ხელი და ქალს ძილთაშინ აურია ხილვის საბუდო...

არ აპატია მთვარემ ასულს აღრევა ღამის და ის ყმაწვილიც მისი ხილვის მოწმე გახადა.

...გამოიღვიძა მაკინემ და ფეხზე წამოდგა, თითქოს არ ეყო რაც ოდის შიგ იყო ჰაერი და ხელქმნილივით გავარდა გარეთ. იქ კი ჭაბუკი იდგა სიზმრით გაოცებული... გაოგნებული შეაცქერდნენ ერთურთს თვალებში, ისე რომ თვისი შიშვლით ყოფნა არც კი უგრძვნიათ. ან კი რაღადროს, როს წუთისწინ ერთურთით დამტკბართ, თითქოს ახლაც კი ასდიოდათ ყვავილთ სურნელი....

ამ ღამის შემდეგ ეს ყმაწვილი მალხაზის სახლის ხშირ სტუმრად იქცა.სიყრმითგან ობოლს მშობელივით შეეჩვია ოჯახის თავი. თითქოს ძე იყო, ისეთ პატივს სცემდა მოყმეს და მის ერთად მრავალ სასიკეთო საქმეს თაობდა.

სოფლის სასიძოს უწოდებდა დემნას მავანი.

დუმდა მაკინე...

აქიმზე კარგი გინა ტანად,ან კიდევ გონით სხვა ვერ ენახა,თუმც ბედისწერის ბრმა მონობას არ აპირებდა.ის იყო ქალი არა მსგავსი ყველა დიაცთა. -,, ...და რატომ დემნა ?"- გაჯავრებული კამათობდა საკუთარ თავთან ,-,,განა იმიტომ,ჩანჩქერებში შიშვლად რომ მნახა? ან იქნებ მიტომ, ძილთაშინ რომ შემერწყა ვნებით?

ყვავილთა ბანგი...

ყვავილთა ბანგი...

აი,ის რამაც მომიღო ბოლო! არ დავნებდებდი!"- ბრაზმორეული დუდუნებდა მაკინე გულში და მხოლოდ მზერით ემდუროდა მხარბეჭა ვაჟკაცს; მრავლად უხილავს დემნას ქალის ასეთი მზერა და ნირწარმხდარიც არა ერთხელ დააჯებულა.

თუმცა უწყოდა მათი გზები ერთმანეთს კვეთდნენ...

მალხაზთან უფრო ბევრს უბნობდა სოფლის სასიძო, ვიდრე ქალწულთან.ვერ მიმხვდარიყო მამა რისთვის ურჩობდა ქალი,თუმც სხვაზე უკეთ მან უწყოდა გაზრდილის ზნენი-თავისებურნი.მიტომაც იყო,რომ ვაჟკაცის ეჭირა მხარი,თუმც ქალის უხმო სიმძიმილი ნაღველს მატებდა და ღვთის შეწევნის იმედიღა რჩებოდა მხოლოდ.არ დანებდესო,ეშინოდა მალხაზს ვაჟკაცი ურჩი კვიცივით უხელთებელ ასულის ნებას...

უცნაურ იყო მაკინე ფრიად...

ვერ პოულობდა სულის საზრდოს მავანთა შორის,ტყეში კი მარტოს სიარული აღარ უწევდა... ვერ ისრულებდა თავის წადილს ყოვლად უცნაურს ვაჟკაცის გვერდით.იჭვით უმზერდა დემნა ქალის ყოველ საქციელს,რადგანაც სურდა მისი სულის კარი გაეღო... ბოლოს კი მიხვდა,რომ ქალწულის ფეხდაფეხ დევნა აფრთხობდა ასულს.ცოტა მოეშვა,მოადუნა მზვერავის მზერა.მიუშვა ქალი...

ნაქურდალივით მიაგელვებდა მაკინე ულაყს.თითქოს გაქცევას ლამობდაო ტყვეობის შემდეგ,ისე უთრთოდა ფაქიზი სული.

მონატრებულმა მიმოავლო თვალი ველ-მინდვრებს და საოცარი სიყვარულით უძღვნა სალამი.შეუყვა ბილიკს,ტყის ნაპირებს გასცდა თანდათან და ძველისძველი ჩიკუნასკენ აიღო გეზი.რად აშინებსო ტყის ფიცრული ესოდენ ყველას, ვერ მიმხვდარიყო ქალი დღემდე, რადგან ამ ალაგს მშობლიურივით აკითხავდა იგი სიყრმიდან.უცნაურ ძალის მოძალებას გრძნობდა ფიცრულში,არამიწიერ ხმათა წიაღს უგდებდა ყურს და უბრალო მოკვდავთ ვერ აღსაქმელ სულთან უბნობდა.ის ასწავლიდა ტყის დედოფალს ყვავილთა ენას...

სულით ხორცამდე აღვსებული დაბრუნდა სახლში.

უმზერდა ვაჟი შორიდან და არას უბნობდა,სურდა რომ თვითონ მისულიყო ქალი საუბნოდ.

მივიდა კიდეც, თუმც მის სულში ვერ ჩაახედა...

მალხაზმა აქიმს თვისი წილი მამული უძღვნა ფოლორცის გასწვრივ.

მდინარის პირას უჩვეულოდ ლამაზი სახლი დადგა ვაჟკაცმა. იცოდა მამამ, სიახლოვე ვაჟისა ქალწულს წაადგებოდა უფრო მეტად, ვიდრე სიშორე. არ ილეოდა სნეულების ნაკადი მათთან. ქალ-ვაჟიც ზრუნვას არ აკლებდნენ გაჭირვებულებს და უსასყიდლოდ ურიგებდნენ მათ სარგო სალბუნს. შეისისხლხორცა ქალმა ვაჟის ეს სიახლოვე და უკვე გრძნობდა, მის სიშორეს ვერ აიტანდა.

თანმდევ ჩრდილივით მიეჩვია ასული დემნას...

გრძნეულთა სახვა კვლავ წყალობდა მაკინეს ღამით... და როცა ვაჟის სინდომილი იპრობდა მის სულს, ავი სულივით კვლავაც ძრწოდა ტიხარებს შორის...

ერთხელაც, როცა აღტყინება შეუჩნდა უსოს და ვეღარ შეძლო მოეთოკა წადილი თვისი, ღამის ტრალივით აიყარა ტანი და ვაჟის საწოლ ოდაში შეიპარა უჩამიჩუმოდ. გაშლილ საწოლზე უდარდელად ეძინა ყმაწვილს. კრძალვით უცქერდა მოშორებით მდგომი ასული თავის რჩეულს და გულის წადილს ტოიოლს ადებდა...

ეტრფოდა ქალი,თუმც ამ ტრფობას გულში მალავდა ცეცხლის ალივივით,ის კი შიგნეულს უნაცრავდა შეუბრალისად...

. ვეღარ გაუძლო ჯახირს ქალმა საკუთარ თავთან და ფოშფოშივით მიეპარა ვაჟის სარეცელს.პეპელასავით მოკალათდა საწოლის გვერდზე და ვაჟის ლოყას უნებური უყო ლაციცი...

შეკრთა ვაჟკაცი...ქალის თრთოლვა მასაც მოედო და იგრძნო სისხლის უნებური აბობოქრება... წამოიწია,უსოს სიბას მოხვია ხელი და გულზე მჭიდროდ მიიტმასნა ღვთის საჩუქარი.შემდეგ კანკალით აუწია მზისადრს სახე და ცრემნარევი დაუკოცნა სამარაგდენი.

ტიროდა ქალი...სიხარულის ღვრიდა ცრემლებს და ვაჟკაცის მკერდში ჩამალული ალერსს ითხოვდა...

ეფერებოდა ვაჟი ქალის დაკვირტულ სხეულს.

გაპობილ ბაგეთ მორიდებულ ამბორს უყოფდა.

აღერილ ყელზე დაეძებდა ტუჩებით ძარღვებს და სისხლის ჩქერას მიჰყვებოდა ქვევით, გულამდე. იქ კი, მცირე ხნით ყუჩდებოდა და ყურს უგდებდა, ვით იმსხვრეოდა ჩანჩქერებად ჩაღვრილი ლალი.

სისხლის ნაკადებს ადევნებული ვნების მორევში ტრიალებდა გულის წასვლამდე...

და შემდეგ, შემდეგ მიჰყვებოდა სისხლის მდინარეს ამ საოცარი ქალის ტანში სამოგზაუროდ...

ტიროდა ქალი...

გათანგული იწვა საწოლზე და ეშინოდა უნებური გამოფხიზლების...

ვაჟი კი, როგორც მომაკვდავი, ისე ცდილობდა ყოველი წამის უკვდავყოფას სამარადისოდ.

ალერსით ქალის სულის პყრობა ეწადა ჭაბუკს,თუმც სულის სინდონს კვლავ უდრეკად ეჭირა თავი...

მეორე დილით, როს სარკესთან უსხეულთსაქმეს მიჰყო ხელი ჩვეულად ქალმა, ყვრიმალზე ტუჩით ნაიარევს წამოჰრა თვალი... დაფრთხა მაკინე... არ ელოდა ასეთ საზღაურს, ნუთუ უმტყუნა გრძნეულების სახვამ უნებურ? ღია სარკმელთან ფარჩის უკან დადგა მალულად და დემნას ეზოს შეაპარა მზერა ქურდული.არ ჩანდა ვაჟი...

როგორც არასდროს,ისე სურდა მაკინეს ახლა გაპარვა ტყეში. ღონე მილეულს ჩიკუნისკენ უწევდა გული.

გასცდა ფოლორცებს,გაიარა ხიმე ფეხმარდად და უდაბურ ტყეს შეერია ავი სულივით...

გამოღვიძებულს კვლავ სიზმარში ეგონა თავი... თვალდახუჭულმა მიმოავლო ხელი ცეცებით...როს ვერ მიაგნო სანატრელის მთრთოლვარე სხეულს,შეშინებული წამოდგა და დახედა საწოლს. ბალიშზე უსოს სამიოდე თმის ღერი ეგდო საფასურივით...

შეძრწუნდა ვაჟი,ბელზებელის ქმედება იცნო...გახელებულმა გაიარა ეზო ცვრიანი და როს ეზოში ვერ იხილა თვისი საბედო,მოურიდებლად მიაშურა მის საძინებელს. საწოლ ოთახში მხოლოდ ქალის სურნელი დახვდა თავბრუდამხვევი.

დაღამებამდე ელოდა უსოს...

გამოჩნდა ქალი.

ბრაზმორეული შეეგება ვაჟკაცი ხიდთან და ცალი თითით აუწია დახრილი თავი.მოღეღილ ყელზე ნათლად ჩანდა ამბორის კვალი... ახლაღა მიხვდა გაურბოდა ქალწული რატომ და უნებურად მიიხუტა მვარისებრ მკრთალი.

შიშველ გულ-მკერდზე იღვრებოდა ცრემლებად ქალი...

ამ ამბის შემდგომ კიდევ უფრო შეერთდნენ ორნი და ქალიც აღარ ისწრაფოდა ტყისკენ მხეცივით.

ქალ-ვაჟის ქცევას ყურადღებით უცქერდა დიდხანს და როცა იგრძნო,რომ მათ შორის დაიდო ზავი, მამამ მაკინე სასაუბროდ იხმო თავისთან.-,,რას აპირებო?"-ჰკითხა ასულს-,,ცოდოა ვაჟი,დიდი ხანია ელოდება შენსგან თანხმობას"-...

დუმდა მაკინე...

ტაძრისკენ მავალს თითქოს უკან რჩებოდა ფეხი,მაგრამ ის მაინც მიიწევდა სალოცავისკენ...

ღვთისმშობლის ხატთან პირმწუხარე იდგა მდუმარედ და ღაპაღუპით მოსდიოდა თვალებზე ცრემლი. -,,იტირე შვილო! ასე უფრო შეგინდობს ღმერთი."-უთხრა მამაომ მაკინეს და მოხვია ხელი.შიშით უცქერდა ამ ასულის ქცევებს სიყრმითგან სოფლის მოძღვარი.არ იშურებდა მისთვის სარგო რჩევის მიცემას,რადგან უწყოდა,თუ რა სისხლი ერია მასში და ამიტომაც სხვაზე მეტად ენაღვლებოდა.

-ღვთისმშობლლის ხატთან თამარ ქალიც ტიროდა ხშირად ასულო ჩემო; მასაც შენსავით დედის სითბო აკლდა სიყრმითგან და ამიტომაც ღვისმშობლისგან ითხოვდა შველას.

-მე ცოდვილი ვარ! არ შემინდობს მამაო ღმერთი.-უთხრა ქალმა და აქვითინდა უფრორე მეტად...

მოძღვარს თვალები გაუნათდა სიხარულისგან,რადგან იხილა სინანული ქალისა გულით.

უხმოდ ისმენდა ღვთისმოსავი მაკინეს თხრობას...

-სად არის შვილო ახლა შენი გრძნეულთა სახვა?-ჰკითხა მამაომ თილისმანზე ნაღვლიან ასულს...

მიხვდა რისი თქმა სურდა მოძღვარს,დააჯდა ქალი და ალეწილმა,თავდახრილმა მორცხვად იუბნა:

-მხოლოდ ძილთაშინ მისიძვია მამაო ჩემო,მე ხელუყოფელ გეახილით აღსარებისთვის.

-ძილთაშინ სიძვა,გინა გულში გავლება ნდომის იგივ ცოდვაა,რაც სხეულით,შვილო კეთილო.სად გაქვს თილისმა?-კიდევ ერთხელ ჰკითხა მამაომ.

-დიდედას ნაქონ ზარდახშაში ვინახავ მუდამ,თუ კი მიბრძანებ,დღესვე დავწვავ და მოვიშორებ.-მოსთქვამდა უსო.

-რაც უფრო მალე მოიშორებ,კარგია შენთვის.იქნებ ის გიშლის ღვთისმოსავთა რიგებში ყოფნას?

-ვიცი მამაო! ვიცი! ვიცი რასაც ჩავდივარ და ამიტომაც უფრო მეტად მელევა სული... ვეცადე ერთხელ გამომეღო უფლისთვის კარი,მაგრამ როდესაც შევიგრძენი სიდიდე მისი,დავფრთხი უგნური და უნებურ ხელიც კი ვკარი.-ტიროდა ქალი

-შეუნდე ღმერთო! შეუნდე ღმერთო!-დუდუნებდა მამაო ჩუმად...

ტაძრიდან მოსულს ჭიისკართან შემოხვდა დემნა.შესცინა ასულს და ალერსით მოხვია ხელი.-,,ახლავე მოვალ.\\\"-უთხრა ჭაბუკს მაკინემ უცებ, თვითონ კი კიბე აირბინა სულმოუთქმელად.

ნაჭდევ ზარდახშას სწრაფად ახსნა ქალწულმა თავი და გრძნეულების თილისმანი აიღო ხელში.

-ეს უნდა დავწვათ,მოვიშოროთ თავიდან ვიდრე,უფრორე მეტად წარმეწყმიდა ცოდვილი სული.-უთხრა მაკინემ თავის სატრფოს ჭადრის ჩეროში.აიღო ვაჟმა ხელში კვესი და თვისი უსოს თვალწინ დანაცრა ურცხვი ბოშის მიერ ნაქონი.

... და მაშინ, როცა თილისმანის ნაცარტუტს ყრიდნენ ორნი ხიდიდან,სოფლის ფოლორცებს შემოაწყდნენ უხვად ცხენები.

შეკრთა მაკინე, თითქოს რაღაც ჩაუწყდა გულში, ეკვეთა მუხლი და ვაჟკაცის მკერდს მიესვენა.

სოფელში ისევ შემობრუნდა ბოშათა რისხვა....

თავადთა სიძის სამეზობლოდ დასცეთ ბოშათ თვისი კარავნი.მდინარის ნაპირს გაეფინენ ფიანდაზებად და ჯურა-ჯურა ჩამოკიდეს მზის ფარდაგები.მიედ-მოედნენ ღობე-ყორეს და წუთის უმალ კამკამა წყალი მღვრიე ღვარად გადააქციეს.

დასცეს ყიჟინა...

აიშალნენ შიშით ფრინველნი.გახელებულთა შეკრეს ცაზე შავი კამარა.

უცქერდა ხალხი უჯილაგოთ,როგორც მაქციებს...

უმზერდა ქალიც...

გონმოსული იდგა სარკმელთან და ჯელგა-ჯელგად შეგროვებულთ უყურადებდა.

ირგვლივ ხოლმებად ციმციმებდნენ ცეცხლის ალები.

ქროდა ხორშაკი.

ვერ გაეგო მაკინეს რისთვის ანთებდნენ კოცონს მომხვდურები ასეთ სიცხეში.ეუცნაურა მათი ზნენიც ფრიად მაკინეს,უკვირდა,რისთვის როკავენო ასე უგვანოდ,ან რად აესხათ აგრერიგად ჩანჩხურნი დიაცთ.

უცქერდა ვაჟიც.ბრაზმორეულს ბოღმა ახრჩობდა.ცუდად ენიშნა გაავება ეზოში ძაღლის.ლამის ჯინჯილი აეწყვიტა მალხაზის ქოფაკს.

ჭერეხის გასწვრივ ჭარებივით ეყარა ქვებზე ბოშათ სამოსი.ლამის შიშველნი ბანაობდნენ სოფლის საცქერლად.ეს კი უფრორე აჯავრებდა გულმოსულ ჭაბუკს.

-მოსცილდი სარკმელს! რას შეგმატებს უღირსთა ცქერა?-უთხრა ბოშებით დატყვევებულ მაკინეს დემნამ.

-რას მიშავებენ?-გულუბრყვილოდ იკითხა ქალმა და გაბუტულმა მოარიდა მდინარეს თვალი.

-ბუნებით ტრალი ყოფილაო ბოშათა მოდგმა,მსმენია ოდეს და თვით ტრიობა უქცევიათ ძირითად წესად.იქ,გინა კაცი,გინა ქალი ყველა მრუშია და რადი ქცევა ეწიფებად სიყრმითგან ყველას.მსიძავთა გვერდით უფრო მეტი გვმართებს სიფრთხილე,არავინ უწყის სად დაგვიგებს მაცდური მახეს.-მოძღვრავდა ვაჟი.ყურს უგდებდა ჩუმად მაკინე,თუმც ცალი თვალით მაინც ბოშათ ბანაკს ეძებდა.თითქოს ჯინჯილით ეწეოდა ვიღაცა მათკენ...

ვერ მიმხვდარიყო რად ურჩობდა ძარღვებში სისხლი...

დაღამდა.

ცაზე სპეკალივით გაგორდა მთვარე,თუმც ისეც ნათელ სოფლის ღამეს ვერა შეჰმატა.

თაღოვან ხიდთან უდიდესი კოცონი ენთო .ლამის სულ ერთად შეეკრიბათ ყველა რიკრიკა. შუა ღამემდე გაისმოდა მათი ყიჟინა,ცეკვა-თამშით გააყრუეს არე მძინარე.

ვერ დაიძინა ამ ხმაურში კენარმა უსომ.წამოდგა ფეხზე,მოიხურა მხრებზე ზეზია და ყურადღებით დააკვირდა ბოშათა სადგომს. კოცონის ირგვლივ ტრიალებდნენ ხელჩაკიდულნი. ცეცხლის ალები ლამის ზეცას უჩენდნენ ხანძარს...

მღეროდა ვიღაც...

არ ეძინა მინდვრის ყვალილებს,თითქოს ისინიც ჩაბმულიყვნენ ღამის ფერხულში.

გაფაციცებით ადევნებდა მაკინე თვალებს ოდესღაც ნანახს. დიახაც ნანახს, ბალღობისას უდაბურ ტყეში...

შეძრწუნდა უსო. მოგონებამ შეჰყარა ჯანღი და უცებ გულში საშინელი ტეხა შეიგრძნო...

გათენებამდე იატაკზე ეგდო ასული...

ძილს ვერც ჭაბუკმა მოუყარა იმ ღამით თავი. ჯარგვალთან შეყრილ გლეხის კაცებს აუბა მხარი და აისამდე დარაჯობდა სხვათა სიმშვიდეს.

დაძინებამდე ქალის ნახვა ინება ვაჟმა.

ავიდა მასთან, დაუძახა და როცა არვინ შეეპასუხა, გააღო კარი. გახევდა ვაჟი როს იხილა მოცელილივით დაცემული ქალი კედელთან. უხმო შიმუნვარს, მიეახლა უმალვე ქალი და შიშველ მკერდზე დააფარა უსოს ზეზია.

-გთხოვთ,მომეშველოთ!-გამოსძახა მოახლემ ჭაბუკს, რომელიც ისევ გაუნძრევლად იდგა კარებთან. ქალის ზახილმა მოიყვანა გონზე ვაჟკაცი. შიშით გვემული, ფეხაკრებით მივიდა ქალთან და მოკრძალებით აიყვანა ასული ხელში.მკერდთან ნანატრი გულის ფეთქვა შეიგრძნო ვაჟმა და უნებური დაუგორდა ღაწვებზე ცრემლი... არ ეთმობოდა საწოლისთვის დემნას მაკინე.სურდა სიკვდიმდე ასე ევლო ასულით ხელში და მისი სუნთქვის სადარაჯოთ დაედო თავი.

ფრთხილად ჩამოჯდა სასთუმალზე სარკის წინ ვაჟი და მიისვენა სანუკვარი ალერსით მკერდზე.

გაყინულ სხეულს სალბუნივით მოერგო სითბო...

სანამ ელოდა ვაჟი ქალის გამოფხიზლებას,თავადაც ძილი მოერია ძალაგამოცლილს...

მოახლე ქალმა გადასწია სარკმლის სამზეო.

ეძინათ დიდხანს უშფოთველი საღათას ძილით ...

მძინართა სმენა უცნაურმა ხმებმა დაიპყრო. სასიამოვნო მელოდია მოჰქონდა ნიავს. სარკმლის სამზეო, ზეზიაზე უფრო ლამაზი იდგა ოთახში ცისიერი სასწაულივით...

ქალის საწოლი დაემსგავსა ტიტანტ ტახტრევანს.

მზის სხივთა ლაციცს შეეწირა ასულის ძილი.მხრებზე შეიგრძნო მოხვეული ხელების ძალა და მკერდის სითბო. განაღო თვალნი და სარკეში დალანდა ვაჟი. მკერდის შიგ უმალ გააჟრჟოლა და ხორშაკივით მოედო სხეულს უნებური ქალური თრთოლვა...

ძილთაშინ მაშინ სულ სხვა ძალა მართავდა ასულს.ახლა კი სურდა რომ ქმნილიყო ღმერთთან მართალი.

საკუთარ ვნებებს გაურბოდა ვნებააშლილი...

ფრთხილად აიღო მოხვეული ხელი მკერდიდან და დააპირა გაქცეოდა უნებურ წადილს.წამოდგა ზეზე,გამოსტაცა ხელი მძინარეს,მაგრამ მაშინვე მიიწვინეს მკლავებმა უკან...ასულის თმებში აებურდა თითები დემნას.საფეთქლებს უხვად დაეხალა ტყვიები ტუჩით...თვალები მისით მიიწევდნენ მკერდის საცქერლად და ზეზიაზე აჩერებდნენ გულმოსულ მზერას...

უმზერდა ქალი ვითარ ხდიდნენ ხელისკანკალით....

გახევებული მოსდგომოდა სარკმელს მზეწვია...

...და მაშინ , როცა ცელქი სიო ეძგერა სარკმელს და უსირცხვილომ აუწია კალთები ფარდაგს, იხილა მზემან აბურცული კვირტები მკერდზე...

უნებურ სტუმარს უნებურად სევდა ეწვია...

რადგან არ ჰყავდა საალერსოდ არავინ გვერდით.

ვაჟის ამბორმა სამუდამოდ წაართვა ძალა მშვენიერ ასულს.. ეს ნეტარება არ ჰგვანობდა ძილთაშინ ნანახს...

ეს იყო მეტი,უფრო მეტი ვიდრე სიცოცხლე და კიდევ უფრო მეტი,ვიდრე გარდაცვალება...

ვაი,რომ მხოლოდ ალერსამდე შეეძლოდ მისვლა....

ვაჟმა სამზეო გადასწია და კარ-მიდამოს გადაავლო მზრუნველი თვალი...ჭერეხის ხილვამ გაუახლა ძველი საჯო და ისევ დაბლა ჩამოუშვა ფანჯრის საფარი.მობრუნდა უკან.ქალიშვილი იცვამდა ტანზე.უცქერდა ვაჟი და უნებურ ღიმილს ფარავდა-არ ეტეოდა ნაფერები მკერდში სამოსში,საკინძის შეკვრას ჯახირობდა ბრაზით მაკინე.მიუახლოვდა,ორივ ხელით ორი ტონთიო შეჰყარა ერთად და ტატაბო ისე შეუკრა.

შერცხვა მაკინეს...

წამწამთ ჯელგა დაბლა დახარა და ისევ იგრძნო უნებური ხორშაკი ტანში...

ვაჟმა ალერსით აუწია ასულს ნიკაპი და კიდევ ერთხელ ხილაბივით ბაგეთ დააკვდა...მაგრამ ასულმა მეამბორეს ჯირგვალი უყო და ხეტი ქცევა დაუძრახა ნაფერებ ჭაბუკს.

მაკინეს ქცევა ავის მაცნეთ მიიღო ვაჟმა.

ჯანღმორეულმა გაიხურა კარები ბრაზით და შმაგი ბიჯით ჩაიარა პირფართე კიბე.ეზოში ჩასულს მოეგება მოახლე ქალი. უსოს ამბავი მოიკითხა დააჯებულმა. -,,არაფერი სჭირს საგანგაშო,უკვე მოკეთდა.’’-ცალყბად მიუგო ვაჟკაცმა და წამსვე იკითხა:

-სად არს მალხაზი?

-გუშინ შუადღით მამა შიო მოვიდა ჩვენთან,მუხნარში ყმანი დაღუპულან ნადირობისას.სოფლის კაცები სატირალში წავიდნენ ერთად...

გასვენებამდე დავრჩებითო,ასე უბნობდნენ...

ამან უფრორე დააჯა მწუხარე დემნა.იხმო ულაყი,მოიტოვა უკან ორღობე და უდაბურ ტყეს შეეპარა ქარის სიმარდით.პატარა ფშასთან შეაყენა დაღლილი ცხენი.ჩამოქვეითდა და დიდ რკონცხზე ჩამოისვენა.

ჩაფიქრდა ვაჟი.

ვერ გაეგო რა სჭირდა ასულს... რად ვერ ეწია გულის მურაზს ტრფობით გვემული.

წამოდგა ფეხზე.გაიარა ღრანტოს ბილიკი და ჩქერალისკენ გაეშურა სულის საამოდ.

ამ ჩქერალებში ერთხელ უკვე იპოვა განძი-სირინოზივით გრძნეული და უხელთებელი.

ჩქერალის ახლოს მობალახე დალანდა ცხენი და წამსვე ნამყო გაუცოცხლდა ტკბილსაგონარი.თუმცა მაშინვე უკუაგდო ყველა იმედი,ასულს ხომ აღარ მფარველობდა გრძნეულთა სახვა. -,,ვინ უნდა იყოს ამ უღრანში მაკინეს გარდა?ვის შესწევს ძალა საბილიკო გალიოს ჯიხვის?"-ფიქრობდა ვაჟი.

ნელი ნაბიჯით გაიარა მყაყე წყლის პირი და ჩქერალისკენ აიღო გეზი.მივიდა ახლოს...მივიდა და იხილა ლული,ნანახზე უფრო უხამსი და ვნებისმომგვრელი-მწყაზარი ქალი იდგა ჩქერალს შეფარებული.სატრფოს ამსგავსა,თუმც მსგავსება უარყო წამსვე,რადგანაც უსოს მრუმე ფერის არ ჰქონდა თმები.უცქერდა ვაჟი ტიტუელი ასულის სხეულს და განუსჯელად მოქმედებდა უკუგდებული.შემოიძარცვა საფარველი ტანზე შმაგივით და კალმახივით ზე აუყვა ჩქერთა დინებას...

ჯაყო თვალებით უცქეროდა ჩქერალში მდგომი.

გახელდა ვაჟი,მომლოდინე ხარბად შეიპყრო და სატრფოს ნაცვლად ვნება ბოშას გადანთხია...

ჩქერალის პირთან დამეხილი იდგა მაკინე...

მობრუნდა უკან.

რეტდასხმული გაუყვა ბილიკს.უკან ჩრდილივით დაედევნა მისი ფაშატი.უფსკრულის პირას დაებინდა გონება ასულს. მოცელილივით ქვედავარდა ყვავილებს შორის.ცხენის ჭიხვინმა გააყრუა უღრანის არე... გონზე მოსულმა აიზიდა სხეული ზევით და ზურმუხტისფერ მინდორ-ველებს დაადგა ობლად.ისევ ძველებურ გუნებაზე დადგა მაკინე და უკუაგდო საფიქრალი ჯანღისმომგვრელი.მიეალერსა ბალახებს და ჩაიკრა გულში მზისკენ მზირალი ათასფერი ყვავილთ კრებული...

მუხნართან მისულს უცნაური მოესმა ხმები.ყური დაუგდო,თუმც გაიგო მაინც ვერარა... მივიდა ახლოს,დაინახა დიდი კოცონის ირგვლივ ყირაზე გადასულთა შმაგი ღრეობა.

გაოცებული უცქეროდა მაკინე ბოშებს,თუმც ვერ ბედავდა მისულიყო იმათთან ახლოს.დემნას ნაამბობს იხსენებდა ქალი მაშინვე,როს უნებურად ეყრებოდა ურჯულოთ სადმე..მაგრამ ვერაფრით მიხვდარიყო რა სჭირდა გულში,ან რად დიოდა ყირამალა სისხლი ძარღვებში...

წესისებრ გაზრდილს არ ესმოდა სისხლის ყივილი...

იბრუნა პირი და დაღმართზე დაეშვა ფეხით.

მდინარის გასწვრივ მიყვებოდა საცალო ბილიკს.მისდევდა ცხენიც.

ხოდაბუნს მისულს შემოუჩნდნენ ძველი ჭინკები და მორევისკენ მიიტაცეს ქალის გონება.ო,ღმერთმა უწყის,ამ საშიში ქარაფის ქვევით ეშმა რამდენჯერ დახვედრია მრუმე მღვიმეში.დიდი სიფრთხილით გადახედა ასულმა მორევს და ცხენოსანი დაინახა წყალთან მრკენელი.შეშინდა ფრიად. დაუზახა,მაგრამ ამაოდ.ვაი,რომ ძალზედ ცუდას იდგა ვაჟი ცხენითურთ,არ პატიობდა ეს მდინარე უნებურ ცდომას.

გაშმაგებული მიღმუოდა მდინარე ღრანტში და სალ-კლდეებზე იმსხვრეოდა ბროლის შხეფებად.მისი შხუილი აყრუებდა ცასა და მიწას, მიტომაც ვერა შეისმინა უგნურმა მგზავრმა.მიხვდა ასული,რომ ახლავე უნდა ეშველა ან სამუდამოდ წარიწყმედდა ვაჟი სიცოცხლეს.სანამ პირუკუ ახეთქებდა მდინარე კლდეებს,შემოუარა ქვევიდან და შედგა ჭოროხზე.მძიმე სამოსი შემოიხსნა უმალ მხრებიდან და მაღლობიდან გააგრძელა ცქერა გვემულის.იფიქრა, იქნებ თავად შეძლოს ხიფათის ძლევა,თუ არა მაშინ მოვუხმობო ვინმეს საშველად.დაუსხლტა ცხენი ხელებიდან უსასო ჭაბუკს და ყაფარისკენ გააქანა უმალ დინებამ. წაიღო ვაჟიც.მიმოიხედა ქალმა ირგვლივ და როცა მაშველს მიაგნო ვერსად გადახტა წყალში,წინ აღუდგა მუხთალ დინებას და მორევისკენ მიტაცებულ ჭაბუკს ეკვეთა. თავი მაღალზე აუწია ლამისდა დამხრჩვალს და თელვა-თელვით მიიყვანა ტინის ნაპრალთან.გვემული მძიმეთ აათრია ქალმა ქვაბულში და წლის საღვრელად დააწვინა უღვთოდ რკენილი.-,,რა გგლიდა შლუო,შავეთს რისთვის ეძებდი სავალს,ან რად გაწირე სასიკვდილოდ რახსი ულაყი?“-ბრაზობდა ქალი.

ამ მორევს ბევრი წაუღია ყაფარის ლუკმად.ეშმის საბუდოს ეძახოდნენ ამ ადგილს ოდით,თუმც ეს მაკინეს არ აფრთხობდა,პირიქით, მისკენ მიისწრაფოდა სიყრმითგანვე კენარი უსო.წყალთან ჭიდილი,ქარაფიდან მორევში ხტომა სხვათა საცქერლად არაერთხელ უცდია ასულს.შემდეგ კი სწორედ იმ ნაპრალში ძვრებოდა ჩუმად,სად ყარაკულის მსგავს თმიანი ესვენა ახლა.

ორბის ნაჭანგარს წააგავდა,ისე სდიოდა მხარ-ბეჭიდან მზეჭაბუკს სისხლი.მაკინემ მოყმე სამშვიდობოს დატოვა მარტოდ და თვითონ წყალში გადაეშვა ვინმეს სახმობად.მორევის ზევით ბადეს შლიდნენ სოფლის ნინველნი.სწორედ მათ უხმო ქალმა ვაჟის გადასარჩენად...

წყალთან მორკინალს ხანაგაში მისცა სავანო.

ფართო კუბოზე დააწვინეს ვაჟებმა მოყმე,ქალმა კი თაქვეშ სასთაული ამოსდო მოგრძო.ქუხარას მკერდთან ეღვრებოდა კვლავ სარდიონი,ვერ შეუჩერა მდინარება ქალმა რატომღაც.დემნას საძებრად მიავლინა ყრმანი მაკინემ.უხმო შიმუნვარს,მასთან ერთად ეცადა შველას.სალბუნთა კრება გამოფინა ფართო ტაბლაზე და რუდუნებით შეამზადა გვემულის სარგო.

ეძებეს დიდხანს,მაგრამ დემნას მიაგნეს ვერსად,ხელმოცარული ჩამოვიდნენ ტყიდან ნინველნი.ამან უფრორე შეაშფოთა და ქალწულის წინ კვლავ ცოცხალივით გაიელვა ჩანჩქერში სიძვამ.

დემნას ღალატი ისარივით დაეცა გულზე და მრისხანემან შურის გებით დახედა გვემულს..

გათენებამდე ფანჯარასთან იდგა მაკინე.

არ ჩანდა ვაჟი,გვემული კი უღვთოდ ბორგავდა.კელაპრით ხელში დადიოდა მოახლე ქალიც. ნინველთ კი ნარზე წამოწოლილთ მშვიდად ეძინათ.გახელებული ათას რამეს ჯავრობდა ერთად.მან არ უწყოდა,სად ათევდა ჭაბუკი ღამეს - მშვიდად ეძინა თუ მხეცების სალუკმოდ ეგდო. გრძნეულთა სახვა გაახსენდა სასოწარკვეთილს... თუმცა მაშინვე დაუძრახა გონებას ფიქრი,რადგანაც ღმერთთან დადებული ჰქონდა პირობა,რომ სამუდამოდ განაგებდა ურჯულოთ წესებს... -,,განვედ სატანა!"-გაიფიქრა ასულმა უცებ და ისევ გვემულს მიუბრუნდა ჯერაც უგონოს.წუხდა ჭაბუკი.

ალისფერი ედო სახეზე.ვერ უჩერებდა იარიდან ქალი ტაბასტას...

გათენებისას ჭიისკარის ჭრაჭუნი ესმა ნაღამევ ასულს და ჭრაქით ხელში გაირბინა გრძელი თალარი.დემნა ის იყო,კაკლის ხეზე აბამდა ულაყს და როს იხილა ხილაბიდან მოსული უსო, მიხვდა, თუ რაში იქნებოდა ახლა ამბავი... -,,იჩქარე დემნა!"-დაუძახა ასულმა მოსულს და ისევ უკან, ხილაბისკენ იბრუნა პირი.

მიჰყვა ჭაბუკი...

ოდაში შესულს არ ეამა ნახევრად შიშვლად მწოლიარე უცნობის ხილვა.მაგრამ,როს მკერდზე უშველებელ ჯირჯვს მოკრა თვალი,წამსვე განაგდო იჭვები და ეახლა გვემულს.

დემნას შემოსვლამ ნინველების ძილი დააფრთხო.წამსვე წამოდგნენ და აქიმთან მივიდნენ ახლოს.მაკინეს ნაცვლად მათ უამბეს ვაჟის ამბავი...

-ვინ უნდა იყოს?-სხვათაშორის იკითხა ვაჟმა და მხურვალს შუბლზე დააფინა სველი საფარი.

-ბოშა იქნება,აბა სხვა ვის მოუვიდოდა აზრად ცხენითურთ შესულიყო ჭინკების ხრამში?-იუბნა ერთმა...

ბოშის ხსენებამ ვაჟის სახე ზიზღით დაფარა,აიღო ჭრაქი და გვემულის იხილა სახე.-,,მართლაც ბოშაა"-გაიფიქრა ჭაბუკმა გულში და ღვთის წინაშე მისი ვალის მოხდას შეუდგა...

სამზერლის საწოლს მიყრდნობილი იდგა მაკინე და უცქეროდა რუდუნებას დაღლილი ვაჟის.

შემოათენდათ.

სულ მცირედით დაწყნარდა ვაჟი.თუმცაღა ზოგჯერ აბოდებდა ტეხისგან მაინც.ხურდა ისევე,ვერ შველოდა რატომღაც დემნაც.

ნინველთა შორის უმცირესმა შეჰკადრა დემნას:

-რაღა ჩვენს კისერს დაედოსო ამისი ცოდო,ბოშათა სადგომს მივადგეთ და და ვუთხრათ სიმართლე,იქნებ ისინი უფრო უკეთ შეძლებენ შველას.

დაფიქრდა დემნა.მოეწონა ნინველის აზრი,მაგრამ არ სურდა მის ეზოში ტრალთა მიმოსვლა... თუმცა,არც უცხოს მოკვდინება ენება მისას. -,,აცნობეთ ბოშათ!"-ფიქრის შემდეგ მიუგო ნინველთ...

ჭერეხში ჩასულთ მოეგება მაღალი ქალი.ეძინა ბანაკს,მხოლოდ ამ ერთს შექმნოდა შფოთი... -,,იქნებ დედაა იმ ჭაბუკის,ასე რომ ჯავრობს"-იფიქრეს ქალის შემხედვარე მცირეწლოვნებმა...

-კარგია,ირგვლივ რომ არავინ ფხიზლობს მის გარდა,მხოლოდ ეს ქალი წავიყვანოთ თავშესაფარში. - იუბნა ერთმა. ბოშას ხელებით მიანიშნეს უკან გაყოლა და წამსვე პირი მიიბრუნეს ვაჟებმა გზისკენ.

ეშმათ საბუდოს ახლოს მისვლა არცერთს ენება...

ვაჟებზე უფრო წინ ილტვოდა ბოშის დიაცი.თვალებში შიში ჩასდგომოდა კალმით მოხატულს...

ღია ჭიისკარს მოსდგომოდა ეზოდან უსო.გაფაციცებით მოელოდა გვემულის პატრონს.

მოვიდა ქალი,შარიშური შემოჰყვა კაბის...

გაუძღვა სტუმარს ხილაბისკენ ღამს მთეველი.შესვლამდე ბოშას კიდევ უფრო ემატა შფოთი.ალბათ,ვაითუ არ დამხვდესო ჩემი რაფიკი... თვალდახუჭულმა შეაბიჯა ნათელ ოდაში.იყნოსა სუნი ოდისა და მცირედ დამშვიდდა.განაღო თვალნი,მწოლიარეს დახედა უმალ და შემზარავად დაეღრიჯა სახე პირიმზეს.არ მოელოდა ალბათ აგრე გვემულის ხილვას.აცრემლდა ქალი,დაიმუხლა ტახთან და ფრთხილად დაადო გულზე სასმენელი მხარბეჭა ჭაბუკს... უყურადებდა დიდხანს ქალი თვალდახუჭული.ბოლოს წამოდგა... უცნაურად შეხედა მშველელთ და საკვირველი რამ უგვანო დაიწყო როკვა...

თითქოს ეშმაკებს მოუხმობდა ქალი საშველად...

შეკრთა მაკინე...

ქალის ლოცვამ თავზარი დასცა...

გაჩერდა ბოშა,მოიხედა უკან ანაზდად და იჭვეულმა მიაბჯინა მაკინეს თვალი...

ვერ მიმხვდარიყო,ვინ უხშობდა შავეთის კარებს...

დამფრთალი უსო მოეფარა დემნას ზურგიდან და შიშნარევი მოაცილა მზერა ჯადობაზს.

ბოშამ ისევე განაახლა უგვანი როკვა.თუმც შიგადაშიგ მაინც მწყრალად უმზრდა უსოს.

ბოშის ტაბაცმა გაახსენა ასულს ჩიკუნა.სწორედ,ამ ენით საუბრობდნენ მასთან სულები... თავზარდაცემულს მოეცარა ფეხი უნებურ და ვაჟის უკან ქვედავარდა,როგორც ნაფთევი.შეძრწუნდა ვაჟი,აიტაცა ასული ხელში და მის ოდაში აიყვანა მოსავანებლად.გონებამიხდილს გარდაცვლილის დაედო ფერი.რომ არა გულის უჩვეულოდ,მალი-მალ ფეთქვა,მიიცვალაო, იფიქრებდა მაშინვე კაცი...მართლაცდა,დემნამ მხოლოდ ქალის სხეული ზიდა.სული ტყვედქმნილი გაეჩხირა მჩხიბავის ხელში...მსხვერპლად შეწირვა მოინდომა ბოშამ ასულის,მაგრამ ღვთის მადლით,სულიწმინდა დაუდგა მხარში...

...და როცა სულის წარსაწყმედად არ ეყო ძალი,ჯეილის შველა სხვა ხერხებით სცადა მისანმა..გავიდა გარეთ,მოიარა ეზო ცვრიანი და ბალახ-ბულახ მონაკრები მობრუნდა უკან.დიდი როდინი ამოავსო პირთამდე ქალმა.შემდეგ შეიხსნა გრძნეულების თილისმა ყელზე და სულ ნაკუწად მოაქცია თავისი სახვა...

ნაყავდა დიდხანს.მერე ადგა და დანაყული გვემულს სიფრთხილით დააფინა საზარელ ჯირჯვზე.

თანდათან ბორგვა შეამცირა ქურუხა ყმამან.ასულსაც მალე დაუბრუნდა გონი და ძალი...

მჩხიბავის ხილვა აღარასდროს ენება ასულს.სურდა ის ვაჟიც წაეყვანათ თავშესაფრიდან.

გრძნობდა ასული ბედის ბორბლის პირუკუ რბოლას...

სნეულის მსგავსად მიეჯაჭვა ასული საწოლს.თითქოს ცდილობდა ხიფათისგან დაეცვა თავი.

დარდობდა დემნა. ვერ გაეგო რა სჭირდა ასულს. სიძვისმოსაქმეს არ ერჩოდა საუბნოდ ენა. ისევ მაკინემ დაარღვია დუმილი ბოლოს და ჰკითხა ჭაბუკს მოურიდებლად:

-იმ დიაცს ბედმა შეგყარა თუ ფეხდაფეხ სდიე,ან იქნებ თვითონ აირჩიე სიძვის ალაგი?

გახევდა ვაჟი.კიდევ ერთხელ ირწმუნა ძალა არაღვთიურის და ბრაზნარევი შეაგება პასუხი ასულს:

-არა,უნებურ შევეყარე მოსიძვე დიაცს ,მაგრამ,ამაში ჩემზე მეტი მიგიძღვის ბრალი.როდემდე უნდა ორჭოფობდე კიდევ თანხმობას?

უსმენდა უსო... უსმენდა და არას უბნობდა...

შებრუნდა ვაჟი,შეაქცია მაკინეს ზურგი და ღია სარკმელს შეაცქერდა უმისამართოდ.წამოდგა ქალი, აიყოლა სარეცლის სითბო და სარკმელს მიღმა მომზირალთან მივიდა კრძალვით.უკნიდან ჩუმად შემოხვია მკერდზე ხელები,თითქოს ენება მოეხადა ამით ბოდიში.მიეკრა ზურგზე, შეუცურა მკერდში თითები და უნებურად აიტაცა გიჟურმა ვნებამ... ჩაუხსნა დემნას გულისპირზე ყველა საკინძე და ხელის მოსმით მოაცილა მკერდზე პერანგი.აჰყვა ჭაბუკი ქალის წადილს და გაშლილ თმებში გვირილებივით ჩაუბნია აქა-იქ კოცნა... ღია სარკმელში იდგნენ ვნების ბადაგით მთვრალნი და ირწეოდნენ,ფარჩებივით ქარის ტრიალში...გახელებული უკოცნიდა გულ-მკერდს მაკინე და საოცარი ნეტარებით აღვსებდა დემნას...ასეთი შმაგი არასოდეს ეხილა ქალი ბედნიერ ჭაბუკს...

...და მაშინ როცა,საწოლისკენ წავიდნენ ორნი და საუკუნო სიყვარულის დადეს პირობა,მაკინემ ზურგში ჩხია თვალთა იგრძნო ნამზერი... დახუჭა თვალი,არ ენება ახლა მოცდენა...ჟინმორეული უკოცნიდა მზეჭაბუკს ყვრიმალს და მთელს სხეულზე ბრმადქმნილივით ეთითეოდა.უეცრად ქალმა კვლავ შეიგრძნო გამჭოლი მზერა და როგორც მაშინ,უნებური შეხება ზურგზე...

ისევ და ისევ ორ ვაჟს შუა მოექცა უსო...

მობრუნდა ქალი,მოიცილა მრისხანედ დემნა და უნებართვოდ შემოპარულს მიაპყრო თვალი.წყალში გვემული ბოშა იდგა სარეცლის პირთან...

მაკინეს ქცევამ აღაშფოთა დემნა ანაზდად და მრისხანემან გაიხურა კარები ბრაზით.

ბოშა კი დარჩა.დატყვევა ასული მზერით და დაეუფლა სხვის ალერსზე ალესილ სხეულს...

ტიხარებს შორის ძრომიალი სცოდნია ჭაბუკს მაკინეს მსგავსად.

დილით ნაგაზთა მყეფარებამ აიკლო ყველა.

ადგა დემნა და მიმოავლო თვალი ეზოკარს.შენიშნა ვერა.დაუძახა სარკმლიდან მოყმეს,რომელიც დემნას მსგავსად ეზოს აყურადებდა:

-რა ხდება მათე,მძვინვარებენ რისთვის ქოფაკნი?

არ ვიცი ძმაო,კიდით-კიდე მიმოვვლე ირგვლივ,არც ნადირი ჩანს და არც ტრალთა კვალია სადმე.-მიუგო ვაჟმა.

-ეშმაკს აროდეს მოუჩანსო ხომ იცი,კუდი... არ დაიზარო,კიდევ ერთხელ დაზვერე არე!არა სჩვევია ჩვენს ქოფაკებს მცდარი განგაში...

ავი სულების მოდინება იგრძნეს ძაღლებმა...

ორიოდ დღეში მოიკეთა ბოშა ჭაბუკმა.ქალის ლოცვები სალბუნივით მოერგო რკენილს,თუმც არც აქიმის მუშაკობა იყო ურიგო.

კვირაძალს დილით ფეხი უკვე დადგა მიწაზე და წასასვლელად მოემზადა დიაცთან ერთად.ზეწამოდგარმა დემნას ბეჭზე დაადო ხელი და გრძელ ტაბლაზე გიშრის თვლები დაყარა უხვად.

-რაი არს ესე?-მოიკითხა დემნამ ანაზდად და უჯილაგოთ გამყინავი მიაპყრო მზერა.აიღო ვაჟმა ტაბლის ლინგზე დაყრილი თვლები და მიაწოდა მაშინათვე მორევში გვემულს.ბოშას ბაგეთა კუთხეებში გაუკრთა ღიმი... არად ჩააგდო ვაჟის მიერ გაწვდილი ხელი...განრისხდა ვაჟი,ღია სარკმელს მიადგა ბრაზით და მდინარისკენ გადაყარა ბოშათა ძღვენი. წამის უსწრაფეს მოიხედეს უკან ბოშებმა. განრისხებისგან დაეღრიჯათ უმალვე სახე.

გრძნეულთა სახვა აირიდა დემნამ თავიდან და გარდუვალი ხიფათისგან დაისხნა თავი.

ეზოში გასულთ გაშმაგებით მიაწყდა ძაღლი,ლამის ჯინჯილი აიწყვიტა გაცოფებულმა.-,,დასწყევლოს ღმერთმა!"-დაიკრულა ჭაბუკი გულში -,,რაღა ჩემს სახლში იბოგინა ეშმაკის მოდგმამ".დემნას საურველს უსიტყვოდაც ხვდებოდა ქალი,ღია სარკმელში ფარჩის უკან ჩუმად მზირალი. შეუცნობელი წინათგრძნობა ზარავდა ასულს.ბოშათ შემოსვლა არ უქადდა იცოდა კეთილს და შიშნარევი მშფოთვარებით იყო აღვსილი.-,,სადა ხარ მამა,მიმატოვე მარტოკა რისთვის,ვინღა დამიცავს შენზე უკეთ მანქანებაში?"-წუხდა მაკინე.

სოფლის კაცები ჯერც კიდევ მუხნარში იყვნენ.

გაურკვეველი შეეყარა სენი მაკინეს.მსგავსი სიმხრდალე არასოდეს უგრძვნია თვისი.დაკარგა ყოვლის შეგრძნება და ბრძოლის უნარი, თითქოსდა ვინმემ ააცალა სიცოცხლის ძალა.

დემნა ჯერ კიდევ გულმოსული იყო ასულზე და გაურბოდა თუნდ უნებურ შეხვედრას მასთან.მაგრამ,როდესაც შიმუნვარმა მოუთხრო ჭაბუკს.უსოს ვარამი,მცირედით მაინც მოუბრუნდა კენარზე გული.დაღამებამდე თავსა სძლევდა ჭაბუკი ფიქრით.წესისებრ გაზრდილს არ ენება დიაცზე თმობა. ჭმუნავდა დიდხანს,მაგრამ როცა ქალის ოდიდან მოესმა გულის დამდაღველი ჩუმი ქვითინი,ქარის სიმარდით აიარა ხვეული კიბე. დადგა კარებთან.დაელოდა როდის უხმობდნენ...გრძნობა არეულს გულის ფეთქვა კაკუნად ესმა სატრფოს კარებზე.ვაი,რომ მხოლოდ გულის ფიცარს სცემდნენ მჯიღებით...

მაკიმემ სითბოს მოზღვავება შეიგძნო უმალ.მიაპყრო თვალი კარის უკან ლოდინით დაღლილს.წამოდგა ფრთხილად,ფეხაკრეფით მივიდა კართან და სასმენელი ვით გულ-მკერდზე,მიადო კარებს.ვაჟის გულის ხმა ნეტარებით ავსებდა სნეულს.გააღო კარი და უსიტყვოდ დადგა ვაჟის წინ.

გაოცებული უცქეროდა ვაჟი მაკინეს.ორიოდ დღეში კესანების ფერი მიეღო თვალის უპეებს.

-რა გაგვა მტკბარო?რა სიმძიმილს დაუდექ მხევლად?რად აგრევია ,,ფერუმალი" ღვთით ბოძებული?

დუმდა მაკინე.მხოლოდ ცრემლებს იწმენდდა თვალზე.ვერ უსწორებდა უკუგდებულს სირცხვილით თვალებს.მიუხვდა ვაჟი სიმძიმილს და მოხვია ხელი,მიისაკუთრა სულზე უფრო ნეტარი გულზე.ღია სარკმელთან მიიყვანა მერე ასული,რომ ლიბრისფერი უპეები ეხილა უკეთ.შემდეგ ყვრიმალი გაუსინჯა ორივე მხარეს და მშფოთვარემან იხმო თვისთან ქალის მოახლე...

სნეული ხელში აიტაცა სიფრთხილით ვაჟმა და ჭიისკართან დაყენებულ ურემში ჩასვა.მაკინეს გვერდით მოკალათდა მისი მხევალიც.

გამოქვაბულის აბანოსკენ აიღო გეზი დემნას ურემმა.

გზად არაერთხელ შეაჩერეს სვლა და მაკინეს სარგო ყვავილნი შეაგროვეს ცვრიან ტყე-ღრეში.

დაღამებამდე მიაღწიეს იმ ალაგს სადაც,უცეცხლოდ დუღდა ოთითგანვე მკურნალი წყალი.

ნასახლარებთან შეაყენა დემნამ ურემი და რონინებით აიყვანა ქალი ქვაბულში.ქვის აბანოებს ოხშივარი სდიოდათ ცხელი. ბნელოდა. მხოლოდ შიმუნვარის ჭრაქიღა ენთო, ისიც მცირედად.მოახლე ქალი ყვავილედებს აცლიდა ღეროთ და შემდეგ ჯინჯიხ წყალში ყრიდა, ტივების მსგავსად... მოედო მტკბარი სურნელება დახუთულ ჰაერს. ჩაწვა მაკინე ცხელ წყალში და რულმორეულმა მალევე იგრძნო მოდინება ნანატრი ძილის.

დაბინდულ თვალებს მოერია რატომღაც ვეღარ.ქვის სასთუმალზე მიესვენა ბანგმორეული.ჭაბუკი ფერხით ჩამოუჯდა სანუკვარ უსოს და თხელ ტერფების რუდუნებით დაუწყო სრესა. ეძინა ასულს თუმც თვალნათლივ ხედავდა ყოველს... თვალდახუჭული ოხშივართან ერთად დგებოდა და სველ კედლებზე სრიალებდა ცელქი ბავშვივით...

უეცრად კედელს მიეყინა ასულის მზერა - დემნას ზურგს უკან ბოშას მოჰკრა თვალი მაკინემ...შეკრთა მაშინვე, გაახილა თვალი ანაზდად, იქნებ ძილთაშინ დავლანდეო იფიქრა ქალმა.მაგრამ ცხადშიაც დაინახა ქურუხა ვაჟი.შემრთხალ ასულთან თავთით დადგა დემნა და მანაც ქალის მზერისკენ გააპარა უნებურ თვალი.გაოცდა,ნეტა რად უცქერსო ასული კედელს...

დემნამ მაკინეს შეშფოთება სხვაგვარად ახსნა.იფიქრა ასულს უჟმურები აჰყვნენო ხევში და ახლა ჭინკებს გაურბისო სულით ძლიერი.უხმო შიმუნვარს და კოცონის დანთება სთხოვა.დაანთო ქალმა.ირგვლივ შეშა იყო ულევი და მცირეოდენ გამონათდა კიდეც ქვაბული.დემნა გავიდა აბანოდან და თვის ურემში შებმულ ნიშა ხარს ფეხის კოჭზე ააჭრა ბეწვი,შემდეგ მოუხმო თავის ქოფაკს,მივიდა ისიც და ძაღლის ბეწვიც დაამატა ვაჟმა ხარისას.დაბრუნდა უკან.ცეცხლი ლამის უკვე ქრებოდა და ბნელ ქვაბულში გროვდებოდა ბოლი მხუთავი.მივიდა ცეცხლთან ასტამით და ფრთხილად აიღო ცეცხლის ნარჩენი.მხუთავი ახლოს მიუტანა ყმაწვილმა ასულს,ზედ დააყარა ხარისა და ქოფაკის ბეწვი... შემდეგ შიმუნვარს სხთოვა ყინწით მოეჭრა მცირედ და მუგუზალზე დაეყარა ქალის ზილფებიც.

იცოდა უსომ,ეს რა რიგად შველოდა სნეულს,თუ კი მართლაცდა უჟმურებით იყო პყრობილი.მაგრამ მას სულ სხვა სიმძიმილი გვემავდა ახლა...

თუმც ბოშის ვნება მაინც შეძლო ვაჟის ნაძრახმა. უცქერდა ქალი ბოლის მიერ შებოჭილ ბოშას,რომლის თვალთაგან შურისგების კვესა მოჩანდა.

ცუდად ენიშნა ასულს ბოშის მზაკვარი მზერა... და მაშინ როცა,საბოლოოდ მინავლდა ცეცხლი და მუგუზალიც დაინაცრა ბოშის ჯინაზე,მხუთავთან ერთად გაიცრიცა ბოშაც ჰაერში...

მოეშვა ქალი.ცოტაც კიდევ დაჰყო ჯინჯიხში და მერე ფრთხილად ამოვიდა ქვაბულის წყლიდან.შიშველ სხეულზე მოაფარა უსოს ზეზია და სასთუმლიან ქვაბულისკენ გაუძღვა ქალი.ოდისმაგვარში სასთუმლებლად იდო ლოდები.ენთო კოცონი და კედელზე კრთებოდა ჭრაქი. დემნას ლოდებზე დაეფინა ხმელი ბულული და მოახლე ქალს ზედ დაეგო სარაფარდაგნი.ერთერთ მათგანზე პირით ჩაღმა დაწვა მაკინე.დემნამ შიმუნვარს მიაწოდა სავარდისწყლე და სთხოვა ქალისთვის დაეზილა სრულად სხეული.თვითონ კი გარეთ გავიდა და ძირძველ ფარეხში მგლებს მოაფარა სასიმამროს ნიშა პირუტყვი.

მეორე დილით სხვებზე ადრე ადგა მაკინე.გავიდა გარეთ და ტყისპირი მიმოვლო სწრაფად,მოკრიფა ის,რაც მის სიმძიმილს შველოდა ახლა და ყვავილებით ამოავსო ლოდის აბანო.შემოიძარცვა საფარველი და ჯინჯიხ წყალში ფრთხილად ჩააწყო ფეხები და ჩაწვა ყელამდე.სულ სხვა სურნელით გაიჟღენთა ცხელი ქვაბული,ძილის სანაცვლოდ

ძლიერება შეიგრძნო ქალმა და ცისიერი მნათობებით აევსო თვალი.უკვალოდ გაქრა უპეებზე კესანას ფერი და ლოფლოფ ლოყებს დაუბრუნდა ჩვეული ხიბლი...

სულ სხვა ასულად დაუბრუნდა მაკინე სოფელს.

მის მკერდში ახლა სულ სხვაგვარად ფეთქავდა გული.თუმც უკურნელი სიმძიმილი აშთობდა მაინც,მამის სიშორე აშინებდა რატომღაც ასულს.

-,,სადა ხარ მამა,მიმატოვე დიდი ხნით რისთვის?ვაი თუ სანამ მოხვიდოდე სულ მთლად დავეცე და მტლედ დავედო ბოშათ მიერ დაგებულ მახეს". -ფიქრობდა ქალი და გულიდან უხმობდა მალხაზს...

იცოდა ქალმა,გაიგებდა მამა უთუოდ...

მართლაც,მუხნარში შეეყარა მალხაზი მთიდან მისი სოფლისკენ გეზაღებულ მოხუც მეცხვარეს.

-რისთვის აჰყარე იალაღებს ცხვარი შავლეგო,ჯერ კიდევ ბევრნი დარჩენილან მთაში ჩვენთაგან.- უთხრა მალხაზიმ.

-ვიცი თედოს ძევ,მაგრამ გუშინ ჩვენი სოფლიდან მოსულმა გზირმა სამწუხარო გვამცნო ამბავი.ექვსიოდ დღეა,რაც სოფელში ბოშები დგანან და უგვანობით წაულეკავთ ჩვენი ჭერეხი.

მეცხვარის თქმული ქუხილივით ჩაესმა მალხაზს.შეზარა ფიქრმა იმისა თუ რა ელის უსოს,როცა მის ახლოს იბოგინებს მომმეთა სისხლი... -,,ვაი თუ,წყალში ჩაგვეყაროს ჩვენი ნაღვაწი,ვაი თუ,ძარღვში გაუწყალდეს თამარის სისხლი"...-ფიქრობდა კაცი და მჯიღებით იწმენდდა ცრემლებს.

მალხაზის შფოთი შორიდანვე შენიშნეს სხვებმა.უხმო მოძღვარმა და ვარამის ჰკითხა მიზეზი...

თავზარი დასცა სოფლის კაცებს მალხაზის თქმულმა...

ვადაზე ადრე გამობრუნდნენ კაცები უკან.მიაჭენებდნენ გაშმაგებით სოფლისკენ ცხენებს და არ უფრთხოდნენ ჯიხვთა მიერ საფრთხილო კლდეებს.მაშინ,როდესაც გადალახეს ჯიხვის საფრენი და ზედ მოექცნენ სოფლის მარცხნივ მდებარე გორას,ხიდის ქვეშ გაშლილ ფარდაგებზე შემორჩათ თვალი - თითქოსდა ვინმეს სახოხბეთი მოეშთოდ ერთად და ჭერეხებზე გაეფინათ დახოცილები.-,,ვაიმე, შვილო!"- დაიქუხა მალხაზმა გულში და დაღმართისგან გააქანა თვისი ულაყი. -,,ისმინა მამამ"- გაიაზრა ასულმა წამსვე და ბედნიერმა გაირბინა ხიმე მტვრიანი.თაღოვან ხიდთან შეეგება ასული მამას. მაკინეს ხილვამ სიხარულით აავსო კაცი და ისე მჭიდროთ მიიხუტა ასული გულზე, თითქოსდა ეშმა უპირებსო წართმევას შვილის...

კაკლის ჩეროში მოიყარეს კაცებმა თავი.

დაიწყეს ბჭობა.

მოძღვარი მალე გამოეყო მათ და თავისთან იხმო მაკინე.მოვიდა ქალი,უამბორა მოძღვარს კალთაზე და მის წინაშე დადგა ცოდვით დამძიმებული.

-რა გაგვა შვილო?-სასოებით ჰკითხა მამამ და რუდუნებით გადაუსვა ხელი მაკინეს.-ბოშათ შემოსვლამ ხომ არ გიყო ზიანი რამე,ან იქნებ ძილში აგირია ისევ ზრახვები.- თითქოს ასულის გულში იჯდა, ისე უბნობდა ღვთისმსახური მამა დავითი.

დუმდა მაკინე.

უცქეროდა მღვდელი და გრძნობდა,ასულის სულში ბოგინობდა უკვე ეშმაკი...

ისევ მოძღვარმა დაარღვია ბოლოს დუმილი და მდინარისკენ წავიდეთო, უთხრა მაკინეს. გაჰყვა ასული. ნელი ნაბიჯით გაიარეს ხიმე და ხიდზე შეჩერდნენ ორნი საცქერელად ჭრელი ჭერეხის.

უხმოდ უცქერდნენ ბოშა ქალის მსგავსად შეფერილ რიყეს ხიდიდან. შიგაშიგ მღვდელი აპარებდა მზერას უსოსკენ და ცდიდა მისი ხასიათის მანკიერ მხარეს.ასულს ვაჟკაცის შემართებით ეჭირა თავი.ცდილობდა შფოთი შეენიღბა მშვიდი ღიმილით...

-მოგწონს ბოშები?- სხვათაშორის ჰკითხა მამაომ.ქალმა კვლავ ძალად გაიღიმა და ვერ იუბნა,რატომღაც პასუხს მოუყარა თავი ვერაფრით.ეთქვა არაო,იცრუებდა,რადგანაც ბოშათ ბანაკისკენ მაინც ქურდულად გაურბოდა თვალი შიგაშიგ.

-შვილო,ბოშანი უცნაურნი არიან ფრიად.არავინ უწყის სამკვიდრო და საჯიშო მათი.ჩვეულებანი საკვირველი ჰქონდათ ყოველჟამს: ჯადობაზობდნენ, მკითხაობდნენ, კრულავდნენ გველებს,ყველაზე უკეთ წვრთნიდნენ ცხენებს და აჭენებდნენ,ცნობდნენ ცხოველთა და ფრინველთა ენას საოცარს და მცენარეებს აგროვებდნენ სხვათა სალბუნად.არ მუშაკობდნენ,გლეხის ჯაფა უკვირდათ დია,დოვლათს მჩხიბავის უნარით და ვაჭრობით ქმნიდნენ...მცირედ შეყოვნდა მამაო თუმც მაინც განაგრძო: - იცი,რომ ბოშებს ტაძარშიაც უშვებენ ზოგჯერ,ოღონდ არა ჩვენ,დაგვიფაროს მაღალმა ღმერთმა.თურმე ისინი ისწრაფვიან ბავშვის მონათვლას და რაც ყველაზე საკვირველ არს,არაერთჯერად.სხვადასხვა ტაძარს აკითხავდნენ ნათლობის თხოვნით და მოსანათლ ბალღს ჯიბეებში უყრიდნენ ხოლმე ღილებს,ძვირფას ქვებს ანაც კიდევ ოქროს მონეტებს. იმათი აზრით არაერთხელ მირონცხებული ნივთები ვითომ გრძნეულების იძენდნენ ძალას... ურწმუნოთ სჯერათ,რომ ბოშების ქირომანტია, ყველაზე უკეთ გამოსახავს კაცის მომავალს.გახსოვს, სიყრმეში ყველას თხოვდი მოეცათ ხელი და მის მომავალს კითხულობდი თითქოს თვალნათლივ... აი,ეს არის ბოშა ქალთა საქმე მთავარი... ამის კეთება ცოდვა არის, შენც იცი დიდი და ამიტომაც გიკრძალავდით უკეთურ თამაშს... ბოშის სიყვარულს გაურბოდა ოდითგან ყველა,რადგან თუ ვინმე გაბედავდა ეთქვა უარი, მაშინვე ეშმაკს აკითხავდნენ სატრფოს საგვემად...

მოძღვრის ნაამბობს ყურადღებით ისმენდა ქალი და წამითაც არ აშორებდა მზერას ფარდაგებს.გრძნობდა,რომ განგებ მოუთხრობდა მოძღვარი ყოველს,ამით ცდილობდა მისი სულის სიმტკიცე ეცნო.ბევრი საერთო დაინახა უსომ ბოშებთან და უნებურად მოტრფიალე შეიქმნა მათი.მაგრამ მაშინვე გაახსენდა დემნას სიტყვები:-,,ბუნებით ტრალი ყოფილაო ბოშათა მოდგმა და თვით ტრიობა უქცევიათ ძირითად წესად.იქ,გინა კაცი,გინა ქალი ყველა მრუშია და რადი ქცევა ეწიფებად სიყრმითგან ყველას."... მაკინემ წამსვე გადიწერა სამჯერ პირჯვარი და გულში ცოდვის შეწყალება სთხოვა მამა ღმერთს.მოძღვარს ეამა სანაქებო ქცევა ქალისა და მიხვდა,შველა მისი სულის არ იყო გვიან...

დაბრუნდნენ უკან...

სოფლის კაცები ისევ უსოს ეზოში ისხდნენ და გამალებით საუბრობდნენ ბოშათ ბანაკზე.მათ შორის იდგა დემნაც,თუმცა არას უბნობდა.მისი გონება სხვა საფიქრალს წონიდა ახლა... ვერ გაერკვია რად გაეხმო მოძღვარს ასული.განა ჭერეხზე იხილავდა რაიმე სარგოს? მრავალი კითხვა აწუხებდა რატომღაც ჭაბუკს.

ეზოსთან მოსულ ასულს მღვდელმა უთხრა, რომ დილით აღსარებისთვის ასულიყო მასთან ტაძარში.

წავიდა მღვდელი.

მთვარეულივით აიარა ასულმა კიბე და საძინებლის ჩაირაზა შიგნიდან კარი.ემალებოდა თითქოს ქალი ამ ქვეყნად ყველას. მარტო დარჩენილს შემოაწვა ნაღველი გულზე. სარკმელზე სრაფად გადასწია სამზეოს ფარჩა, სარაფარდაგიც მოაფარა ტატანის სხივებს და ურვეული გაირინდა საკუთარ თავთან....

წაერთვა გონი...

ორი კლდის შუა, ბეწვის ხიდზე იდგა ასული.მარჯვნივ ზარები მოუხმობდნენ,მარცხნივ - ბოშები...ორივე მხარეს მიილტვოდა სისხლი საჩქერად და აქეთ-იქით გაწელილი რჩებოდა ქარში. წვიმდა.ღვარცოფი მოსდებოდა სასჯელად მიწას და ბეწვის

ხიდიც ირწეოდა ქარის თარეშში. უეცრად ნათლად დაინახა ასულმა თავზე მზეწვიას მსგავდად მოციმციმე დიდი ბორჯღალო, რომელიც ნაცვლად სინდიყვისფერ წყაროს წყალისა, ირგვლივ ლალებად ასხურებდა სისხლის მდინარეს...

ყვავის ჩხავილმა მოიყვანა ასული გონზე...

დამფრთხალ შველივით წამოვარდა და აქეთ-იქით ჩარაზულ სივრცეს მიეხეთქა შეპყრობილივით.

ტაბასტამ თითქოს დაამშვიდა მშფოთვარე სული...

წარბგახეთქილი მიესვენა თავის სასთაულს.

დაღამებამდე არაფერი უგვრძნია ასულს.ღამით კი გრძნეულთ მოძალება შენიშნა ისევ...

სალი კლდის მსგავსად შეუვალი წამოდგა ქალი.კედლიდან მზირალს დაუხვედრა ამაყი მზერა. მივიდა ხატთან, კელაპტრები აანთო უხვად და გაანათა ჯურღმულივით მრუმე ხომლები...გათენებამდე ილოცვიდა მუხლმოდრეკილი...

გათენდა.ხიმეს შეერია მაკინე ობლად.ტაძრისკენ მავალს უკან სდევდა ნათელი შუქი.დედათ მონასტრის მოუხმობდნენ ზარები უსოს.

გარდაეწყვიტა ასულს უკვე გზა მომავლისა...

გახარებული უცქეროდა მამაო მყაზარს და მის გულითქმას ყურს უგდებდა თვალცრემლიანი...შემდეგ კუთხევა მისცა ასულს და მისი ნდომის უკეთ აღქმისთვის მონასტერში ურჩია წასვლა...

დედათა შორის კიდევ უფრო ამაღლდა ქალი...

დემნას თავზარი დასცა ქალის სურვილის ცნობამ...

დაიწყო მარხვა.

აჰყვა უსო მონასტრის წესებს და განიწმინდა წარყმედილი ლამის და სული...

დიდ მარხვის შემდგომ აღდომაზე დაუბრუნდა ქალი რავესშნებს.გახარებული შეეგება დემნა რცხილებთან და სანუკვარი ჩაიკრა გულში. გახელებულმა დაუკოცნა ხარბად თვალები და სამდურავი უთხრა მისგან გაპარულს ჩუმად.უსმენდა ქალი სანუკვარს და ბოლოს გაანდო, მათ შორის ეკლად გაჩხეილი ბოშის ამბავი...სუნთქვაშეკრული უცქეროდა დემნა მაკინეს და გაგონილზე მოსდიოდა ანაზდად გული...-,, ბოშამ წადილი შენი გულში ვითარ გაივლო? ვით გაუბედა საშუღარი საჯიშეს ჩვენსას"-ბდღვინავდა ვაჟი... თუმც ასული იდგა მშვიდად და მისი სიმშვიდე ედებოდა მალამოდ გულზე...

სოფლის ფოლორცში შეყრილიყო სალოცავიდან მოსული ხალხი.მათ შორის იდგა მალხაზიც და ელოდა ასულს.

გამოჩნდნენ ორნი.

სიხარულით აივსო მამა და შეეგება პირმცინარეთ ლხენით აღვსილი.ასული ყელზე დაეკიდა მძივივით მამას.

მაკინეს მოსვლამ სიხარულით აავსო სახლი.

საკუთარ ოდას გადაავლო ასულმა თვალი და ღია სარკმელს შეაგება გულცივი მზერა.უხმო შიმუნვარს და დარაბის დახურვა თხოვა.ბოშების მხარეს სამზერელი დაიხშო ამით.მნათობთ შეეძლოთ სხვაგნიდანაც ეხილათ ქალი...

იმ ღამით მალხაზს სტუმრად ჰყვავდა დემნას რავესშნი.მათმა სტუმრობამ სულ მცირედით დააფრთხო უსო,თუმც თვით უწყოდა,რომ ამისიც დგებოდა ჟამი.გულისფართქალით ყურს უგდებდა მამის ნაუბარს და სიხარულით ევსებოდა განწმენდილს სული.მაკინეს კარებს მორიდებით მოადგა ვაჟი და სანამ კაკუნს დაიწყებდა საყვარლის კარზე,-,,შემობრძანდიო!"-გამოსძახა ღიმილით ქალმა.დემნამ ისევე გაიკვირვა მაკინეს ქცევა, თუმც მიჩვეულმა გამოაღო ანაზდად კარი.სიტყვის უუბნოდ უცქეროდა ვაჟი პირიმზეს და გრძნობდა ღვთისგან ჩამობერტყილ წყალობის ცვენას.

უსოს თანხმობამ სიხარული მოჰგვარა ყველას და საქორწილო სამზადისზე დაიწყეს ბჭობა.

ქალის წინდობამ გაახარა მთელი სოფელი,თუმცა რატომღაც დააჯა ბოშათა მოდგმა...

წინდობის ღამეს კვლავ უკეთურთ ბოგინი იგრძნო ოდაში ქალმა.უმალ წამოდგა,რომ აენთო ხატთან ხოლმები,თუმც სასთუმალთან მგდომმა ამის არ დართო ნება.ბოშის თვალებში უცნაურად კრთებოდა სხივი.იდგა და მზერით ქალის სულის პყრობას ლამობდა.მაგრამ ნაზრახი ნახრახვადვე დაურჩა რიოშს,რადგანაც ვეღარ მოერია სულით ტიტანოსს...ქალის ოთახში შურდულივით შეიჭრა დემნა.ეტყობა ესმა უნებურად გულის ზახილი - რად მეძახდიო,შეეკითხა ვაჟი ანაზდად, წავიდა მისკენ,თუმც რაღაცას წამოჰკრა ფეხი და ნაფთევივით ქვედავარდა სასთუმლის პირთან... ასულს თუ ვერა, ვაჟს ხომ მაინც ავნო ბოშამ და თვითკმაყოფილი გაიცრიცა ნისლივით ჭრილში...

დაცემულ ვაჟთან დაიჩოქა მყისვე ასულმა და სიყვარულით შეაცქერდა პირქვე დაცემულს.ვაჟმა უნებურ გაიცინა და დაჩოქილი იქვე მის გვერდით მიიწვინა ჭრელ ხალიჩაზე.მათ რაგადობას მთელი ღამე ისმენდა მთვარე,ბოშა კი სახვას მისცემოდა ქალის სავნებლად...

გამთენიისას გაიპარა ვაჟი სახლიდან,მალხაზის ნახვას მოერიდა ჯერაც სასიძო.

მიძინებულმა ჩანჩქერები ნახა ძილთაშინ და უჩვეულო წინათგრძნობით აევსო სული.შიშის ზარები ჩამოესმა რატომღაც ასულს...სწრაფად წამოდგა, გაირბინა ეზო ცვრიანი და დემნას სახლში შეირბინა შეშფოთებულმა.-,,სად არის დემნა?"-ჰკითხა ვაჟის დამხმარე დიაცს,-..ტყისკენ წავიდა ალიონზე"-მიუგო ქალმა.უსო მაშინვე გამობრუნდა,მიადგა თავლას და რახსი ცხენით გაეშურა დემნას საძებნად.

გახელებული მიაპობდა ულაყი ტევრებს და იტოვებდა უკან ჩლიქით გათელილ ჟიჟოს.ჩქერალთან მისულს უსიამოდ გაუკრთა გულში და ფეხაკრეფით გაიარა ჯიხვის საფრენი.დემნას ულაყთან შორიახლოს მეორე ცხენი იხილა ქალმა.წამსვე წარსული გაახსენდა და იჭვეული მიაპყრო მზერა ზურმუხტ ჩქერალებს.წყალში მარტოკა ცურაობდა მისი რჩეული...

თავის იჭვებზე გაეცინა ასულს უნებურ და უფრო ახლოს მიეპარა უბადლო მცურავს.ჩქერალის თავზე ბინდისფერი შენიშნა უსომ და უნებურად დაუზახა თავის მზეჭაბუკს.მობრუნდა ვაჟი.ქალის ხილვამ უფრო აღაგრძნო და ბედნიემა კვლავ მადლობა შესწირა უფალს.ასულთან ახლოს გამოსცურა ვაჟმა და სთხოვა,რომ მასთან ერთად ებანავა ამ ნათელ დილით.მაკინემ ცისკენ გააპარა მალული მზერა და სატრფოს თხოვა წაჰყოლოდა ახლავე სახლში.მაგრამ ჭაბუკი არ იშლიდა რატომღაც მისას და საცურაოდ მოუხმობდა თავის სეფეთდარს...მაკინემ ისევ ბურუსისკენ მიაპყრო მზერა და უნებურად მდინარეში ჩაუცდა ფეხი.ლამის ხელებში ჩაუვარდა მომღიმარ ჭაბუკს...

ვაჟმა მაშინვე შემოხვია საცოლეს ხელი და წყლის სიღრმეში გაიტაცა ნაქურდალივით.კლდიდან ჩამოშლილ ლოდებისკენ გაცურა უმალ, თითქოს პირუტყვებს მოარიდა ალერსი ქალის.ქვებზე მიწოლილს დაუკოცნა სახე ჭაბუკმა და საუკუნო სიყვარულის დაუდო ფიცი.უცქერდა უსო სიყვარულით ავსებულ თვალებს და მის წინ თრთოდა სიყვარულით აღტყინებული.ვაჟკაცის ვნებას ტალღასავით აჰყვა ასული,ის იყო უკვე ვნების ზღვაში იწყებდა ცურვას,რომ ვაჟის უკან ბოშას მოჰკრა ქალმა თვალები.მტარვალი ჩუმად მოიწევდა სატევრით ხელში...შავი ბურუსის არსი წამსვე შეიცნო ქალმა და ცას ახედა საყვედურით სავსე თვალებით. ბოშის სატევარს ალესილი უჩანდა პირი და გრძნობდა ქალი ნიაღვარად მოვარდნილ საფრთხეს... თვალცრემლიანმა ჩაისუნთქა ხარბათ ჰაერი,მოავლო თვალი ღრანტეებზე აქოჩრილ ტყეებს,სატრფოს თვალებში ჩააცქერდა დიდი ალერსით და ვაჟის ნაცვლად მისი მკერდი დაუდო ბოშას.ვერც კი მოასწო გაესაზრა

ლირფმა რაიმე,რომ მკერდნაგვემი ჩაუვარდა ქალი ხელებში. ორი ვაჟკაცის ხმამ ერთბაშათ შეძრა გარემო...

სულისწამღებად ღრიალებდნენ ორნი ღრანტეში.

ქალი კი იწვა და სრულებით ვერ გრძნობდა ტკივილს,დაჭრილ სხეულში სიყვარული ენთო კოცონად...მდინარეს ლალის ბილიკივით მიჰქონდა სისხლი...

შეშლილ თვალებით შესცქეროდა კანჯარი უსოს და თან გველივით თავს ურტყამდა ალესილ კლდეებს.უგონო ვაჟი წარიტანა მალე დინებამ და ჯურღმულისკენ გააქანა,ვითარც ფოთოლი...

დემნა უცქერდა ფერდაკარგულ ასულს სახეზე და ვერ ბედავდა მისულიყო გვემულთან ახლოს;მაგრამ როს წყალი ბოშასავით ეძგერა ასულს და ჯურღმულისკენ დაუპირა მასაც წაღება,ხელის კანკალით შემოხვია სიბაზე ხელი და ნაპირისკენ წაიყვანა გულისწამღები.ყვავილებს შორის დააწვინა ვაჟმა ასული,მკერდზე დაადო სასმენელი სასომიხდილმა და ჯერაც მფეთქავ გულს დაუგდო ყური კანკალით.

იგრძნო ჭაბუკმა გარდუვალი სიკვდილი ქალის... შეშინებულმა აწია ცოტათი მაღლა და ნეტარებით დაეწაფა ლიბრისფერ ტუჩებს.

გარდაცვალება არ უგვრძნია სასოწარკვეთილს....არც ჭექის ხმა და ჩამოვარდნა მიწაზე მეხის...იწვა წვიმის ქვეშ,ვითარც წეღან ჩქერალებს შორის და სატრფოს ხვევდა სიყვარულით სიბაზე ხელებს...რა ჟამს მოგროვდა ჩქერალებში სოფლის მავანი,ვით ააგლიჯეს ხელებიდან უსულო უსო,ვერც მიხვდა ვაჟი...

სოფლის ფოლორცებს ღვარცოფივით მოაწყდა ხალხი.ისედაც წვიმდა,იქცეოდა ზეცა მიწაზე...პირგამეხილი იდგა მამა ღია ჭიშკარში და უცქეროდა ნიაღვარად წამოსულ მავანს.შვილის წინაშე ჩაიმუხლა სიმწრით მალხაზმა და დაუკოცნა ჩაცვენილი თვალები ასულს. ასწია თავი,მიმოავლო თვალები არეს და შეშლილ მზერით მაცქერალი იხილა ვაჟი.წამოდგა მამა,მიიზიდა ვაჟკაცი მკერდთან და შემოაჭდო მარწუხები უგონოდ მწუხარს...

მავანის მსგავსად დასტიროდა ზეცა მაკინეს.გადაუღებლად წვიმდა,ლეკდა ირგვლივ ყველაფერს... თუმცაღა მაშინ,როს ასულის სანეშტე ხელში აიღეს და კარს მიაშურეს სოფლის კაცებმა,გაჩერდა წვიმა,გაიკრიფა სადღაც ღრუბლები და მზე გამოჩნდა სხივკვეცილი და უნიათო...

მულღაზანზაროს გზას დაადგნენ უსოს მზიდველნი,მისსავე შექმნილ ყვავილნარში მისცეს მისცეს ალაგი...

****

ორიოდ დღეში დაიწმინდა სრულიად მიწა,თავის კალაპოტს დაუბრუნდნენ მწირი რუები,რომლებიც სოფელს ღვარცოფებად უვლივდნენ ირგვლივ. ჭერეხის გასწვრივ არსად ჩანდა ბოშათ ბანაკი.წვიმისას ქვაბულთ შეაფარეს ზეგანში თავი...თუმც ერთი ქალი დადიოდა ზევით და ქვევით და გამყინავად გაჰკიოდა რაღაცას მისთვის...

კენარი უსოს დაკრძალვიდან მეოთხე დილას სალპინგის მსგავსი შემოესმა სოფელს ზახილი,თითქოსდა ვინმე აღსადგომად უხმობდა ცხედრებს.სოფელი ისევ შემოაწყდა ფართო ფოლორცებს და ახლა ბოშათ სამძიმარის შეიქმნენ მოწმე...ურემზე იდო წყლით გვემული ბოშის ცხედარი. ყველამ უწყოდა ვის სტიროდნენ ბოშანი ახლა...

სოფლის მავანი ქუდმოხდილი იდგა ფოლორცში...

მაშინ როს, ბოშათ ქარავანი გასცილდა ხიმეს და მათი კვალიც თან წალეკა მოსულმა წვიმამ, მალხაზმა იხმო მგლოვიარე ჭაბუკი მასთან და თვისი ნდომა გაუმხილა სიძედ წოდებულს...აღარ ენება მიწიერთა შორის ცხოვრება და მონასტერში აპირებდა დღეიდან წასვლას.

გასავალს გამცდარს ჭიისკართან დაუხვდა ძაღლი.მოხედა სახლ-კარს,მიმოავლო თვალი მამულებს და უცებ ჭასთან საოცრება იხილა დიდი-თამარის შემდგომ თედოს მიერ დარგულ ბროწეულს ამ ხნის მანძილზე დღეს პირველად ესხა ყვავილი...

ნეტარი სითბო ჩაეღვარა მალხაზს გულმკერდში.მშვიდობის ნიშნად მიიჩნია ეს სასწაული და ძაღლთან ერთად აჩქარებით აუყვა აღმართს...